

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

სს „ხრამჭესი 1-ის“ აქციონერსა და დირექტორთა საბჭოს

ჩვენ სს „ხრამჭესი 1-ის“ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 30 იანვარს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავვიტარებთ მმართველობის ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



რუსლან ხოროშელი,

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2019 წლის 13 აგვისტო

**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს
კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული
ანგარიში**

სს „ხრამკესი 1-ის“ აქციონერსა და დირექტორთა საბჭოს

ჩვენ სს „ხრამკესი 1-ის“ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 30 იანვარს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავიტარებთ მმართველობის ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.


ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

რუსლან ხოროშვილი,

შპს „იუაის“ სახელით

2019 წლის 13 აგვისტო



ИНТЕР РАО

ХРАМИ ГЭС-I

**წლიური მართველობითი ანგარიში
2018 წელს გაწეული სამუშაოს
შედეგების მიხედვით**

გენერალური დირექტორი:

დ. ვ. კანდელაკი

ფინანსური დირექტორი:

ე. გ. მჭედლიძე

13 აგვისტო 2019



წლიური მართველობითი ანგარიში
2018 წელს გაწეული სამუშაოს
შედეგების მიხედვით

გენერალური დირექტორი:

დ. ვ. კანდელაკი

ფინანსური დირექტორი:

ე. გ. მჭედლიძე

13 აგვისტო 2019

შინაარსი

1. ანგარიში საზოგადოების საქმიანობის შესახებ	3
2. ზოგადი ინფორმაცია სს „ხრამჰესი 1“-ის შესახებ	5
3. საზოგადოების მდგომარეობა დარგში: ბაზარი, მარკეტინგი, გაყიდვები.....	13
4. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები.....	15
5. საზოგადოების განვითარების პერსპექტივები.....	20
6. საზოგადოების ეფექტურობის საკვანძო მაჩვენებლების სისტემა.....	21
7. სარემონტო საქმიანობა.....	23
8. საინვესტიციო საქმიანობა.....	24
9. შესყიდვების საქმიანობა.....	25
10. საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის ძირითადი ფაქტორების აღწერილობა ...	26
11. კომპანიის აქციებზე გამოცხადებული - გადახდილი დივიდენდების შესახებ ანგარიში.....	27
12. სააქციო კაპიტალის სტრუქტურა	28
13. სამეთვალყურეო საბჭო	28
14. გენერალური დირექტორი	31
15. საკადრო პოლიტიკა და სოციალური პასუხისმგებლობა.....	31
16. გარემოს დაცვა.....	34
17. ცნობები საზოგადოების მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში დადებული მსხვილი გარიგებების და ასევე იმ გარიგებების შესახებ, რომელთა შესრულებაში არსებობს დაინტერესება და რომლებიც შესრულებულია საზოგადოების მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში.....	37
18. მონაცემები საზოგადოების წმინდა აქტივების მდგომარეობის შესახებ.....	37
19. დამატებითი ინფორმაცია აქციონერებისათვის	38
20. წლიური ანგარიშის დანართი 1 - 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად	40

1. ანგარიში საზოგადოების საქმიანობის შესახებ

სააქციო საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მიმართულება არის ელექტროენერგიის წარმოება და რეალიზაცია. სამეთვალყურეო საბჭო ზოგადად წარმატებულად აფასებს 2018 წელს საზოგადოების განვითარების შედეგებს. თავისი საქმიანობის ამ პერიოდის განმავლობაში, სს „ხრამჰესი 1“-მა შეძლო კომპანიის სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფა და 8 075 ათასი ლარის ოდენობით წმინდა მოგების მიღება.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2018 წლის განმავლობაში გაწეული სამუშაოს შედეგების შეჯამებით, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საანგარიშო წლის განმავლობაში ჩატარებულია სამეთვალყურეო საბჭოს 17 სხდომა. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო კომპანიის ბიზნეს გეგმის დამტკიცება 2019-2023 წლებისთვის. გარდა ამისა, დამტკიცებულ იქნა ლოკალური ნორმატიული აქტები, კომპანიის საქმიანობას კონკურენტუნარიანი პროცედურების, ეკონომიკური დაგეგმვის, კომპანიის დაზღვევის დაცვის თვალსაზრისით.

კომპანიის ფინანსურ პოლიტიკასთან დაკავშირებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება, მიმდინარე წესით განხილულ იქნეს გენერალური დირექტორის ანგარიშგებები სამეთვალყურეო საბჭოს ინსტრუქციების განხორციელების შესახებ და კორპორატიული ღონისძიებების გეგმის განხორციელებაზე.

სამეთვალყურეო საბჭოს ენიჭება ყველაზე მნიშვნელოვანი როლი აქციონერთა უფლებების უზრუნველსაყოფად. კომპანიის განვითარების სტრატეგიის ჩამოყალიბებაში და დანერგვაში, ასევე წარმატებული ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის უზრუნველსაყოფად.

სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა იყო ორგანიზებული დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესაბამისად, რეგულარულად კონტროლდებოდა გადაწყვეტილებების შესრულების საკითხები.

საანგარიშო პერიოდში არ არსებობს შეუსრულებელი გადაწყვეტილებები.

აღნიშნულ სხდომებზე მიღებულია ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებმაც არსებითი ზეგავლენა მოახდინეს საზოგადოების საქმიანობაზე:

1. საზოგადოების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა საზოგადოების მიერ აქციონერთა წლიური კრების მომზადება და ჩატარება. ამასთან დაკავშირებით დამტკიცებულ იქნა წლიური კრების მომზადების და ჩატარების გრაფიკი.
2. მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხებოდა საზოგადოების ფინანსურ და ეკონომიკურ პოლიტიკას, როგორიცაა შემდეგი წლის ბიზნეს-გეგმის დამტკიცება და საზოგადოების საინვესტიციო პროგრამის მიღება, ასევე მათი შესრულების შესახებ ყოველკვარტალური ანგარიშების დამტკიცება.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მუშაობის შეფასებისას, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა წევრი თავისი უფლებების განხორციელების და მოვალეობების შესრულების დროს მოქმედებდა საზოგადოების ინტერესების დაცვით, კეთილსინდისიერად და გონივრულად, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყველა სხდომაში.

შემდგომ წლებში სამეთვალყურეო საბჭო პირველხარისხოვან ყურადღებას მიაქცევს კორპორატიული მართვის ხარისხის გაუმჯობესებას და საზოგადოების რენტაბელობის ამაღლებას.

მომდევნო წლებში სამეთვალყურეო საბჭო უპირველეს ყურადღებას დაუთმობს კორპორაციული მართვის ხარისხის გაუმჯობესებას და კომპანიის მომგებიანობის ამაღლებას.

2. ზოგადი ინფორმაცია სს „ხრამჰესი 1“-ის შესახებ

გეოგრაფიული მდგომარეობა



ჰიდროელექტროსადგური „ხრამჰესი 1“ მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის ნაწილში, ქ. თბილისიდან 120 კმ-ზე დაშორებით, მდინარე ხრამზე, ზღვის დონიდან 1092 მ. სიმაღლეზე.

ჰიდროელექტროსადგური ექსპლუატაციაში გაუშვეს 1947 წელს. ჰიდროელექტროსადგური წარმოადგენს წლიური რეგულირების სადგურს და აქვს 312 მლნ. კუბ. მ. მოცულობის აუზი.

ჰიდროელექტროსადგურზე დაყენებულია სამი ჰიდროაგრეგატი თითოეული 37,6 მვტ სიმძლავრით. „ხრამჰესი 1“-ის დადგენილი სიმძლავრე შეადგენს 112,8 მვტ-ს. საპროექტო საშუალო წლიური გამომუშავება 217 მლნ. კვტ/სთ შეადგენს.

ღია გამანაწილებელი მოწყობილობა შეერთებულია ენერგოსისტემასთან სამი ელექტროგადამცემი ხაზით: ელექტროგადამცემი ხაზი იმერა -110 კვტ, „თონეთი-2“- 110 კვ და „გომარეთი“ -110 კვ.

მოკლე ისტორია

ხრამის კასკადის მშენებლობა იყო დაგეგმილი რუსეთის ელექტრიფიკაციის სახელმწიფო კომისიის გეგმის პროგრამის მიხედვით და მოიცავდა ოთხი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას. აქედან აშენებულ იქნა მხოლოდ ორი სადგური. „ხრამჰესი 1“ არის ზედა საფეხური, ხოლო „ხრამჰესი 2“ ამ ეტაპზე არის ქვედა საფეხური.



„ხრამჰესი 1“-ს მშენებლობა დაიწყო **1934 წელს**. დიდი სამამულო ომის პერიოდში მშენებლობა შეაჩერეს და განაახლეს 1944 წლის ბოლოს.

1947 წლის დეკემბერში ექსპლუატაციაში გაუშვეს ჰიდროაგრეგატი N1.

1949 წლის ბოლოს ჰიდროელექტროსადგური მთლიანად გაუშვეს ექსპლუატაციაში.

1996 წლის 13 დეკემბერს დაფუძნდა სააქციო საზოგადოება „ხრამჰესი 1“ საქართველოს სახელმწიფოს 100% წილობრივი მონაწილეობით.

1999 წლის 22 დეკემბერს სააქციო საზოგადოება „ხრამჰესი 1“-ის და სააქციო საზოგადოება „ხრამჰესი 2“-ის აქციების მართვის უფლების შესახებ საქართველოს სახელმწიფოს და „AES Georgia Holdings B.V.“ კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, საზოგადოების აქციების მართვის ექსკლუზიური უფლება და დივიდენდების მიღების უფლება გადაეცა კომპანიას „AES Georgia Holdings B.V.“.

2003 წელს კომპანია „AES Georgia Holdings B.V“ (ამჟამად INTER RAO Management B.V) საჯარო სააქციო საზოგადოება „ინტერ რაო“-ს საკუთრებაში გადავიდა.

2003-2009 წწ. პერიოდში განხორციელდა ძირითადი და დამხმარე აღჭურვილობის მოდერნიზაციისა და ავტომატიზაციასთან და ასევე სადგურის კეთილმოწყობასთან დაკავშირებული სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2011 წლის 31 მარტს საქართველოს სახელმწიფოსა და საჯარო სააქციო საზოგადოება „ინტერ რაო“-ს შორის დაიდო მემორანდუმი „ელექტროენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის განვითარების და მიღწეული შეთანხმებების რეალიზაციის შესახებ.“

2011 წლის 7 აპრილის საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულება N5-ის საფუძველზე დადგენილია სს „ხრამჰესი 1“-ის და სს „ხრამჰესი 2“-ის მიერ გაშვებულ ელექტროენერგიაზე გრძელვადიანი ტარიფები 2025 წლამდე.

2011 წლის 13 აპრილს ხელმოწერილი მემორანდუმის ფარგლებში და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 მარტის სპეციალური დებულების N717 საფუძველზე და სააქციო საზოგადოებების „ხრამჰესი 1“-ის და „ხრამჰესი 2“-ის ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, რომელიც

დადებულია საქართველოს სახელმწიფოსა და კომპანია „Gardabani Holding B.V“-ს შორის, სააქციო საზოგადოება „ხრამჰესი 1“-ის და სააქციო საზოგადოება „ხრამჰესი 2“-ის აქციების 100% საკუთრების უფლება გადაეცა კომპანიას „Gardabani Holding B.V.“, რომელიც არის საჯარო სააქციო საზოგადოება „ინტერ რაო“-ს შვილობილი კომპანია.

2012 წლის 27 დეკემბერს საქართველოს მთავრობასა და საჯარო სააქციო საზოგადოება „ინტერ რაო“-ს შორის დადებულ იქნა შუალედური მემორანდუმი ელექტროენერგიის სფეროში თანამშრომლობის შესახებ, რომელიც მოქმედებდა 2013 წლის 31 მარტამდე. ამ მემორანდუმის ფარგლებში, მხარეები შეთანხმდნენ 2025 წლამდე ხანგრძლივი თანამშრომლობის სტრატეგიის შემუშავებაზე.

2013 წლის 31 მარტს საქართველოს მთავრობასა და საჯარო სააქციო საზოგადოება „ინტერ რაო“-ს შორის ხელმოწერილ იქნა მემორანდუმი ელექტროენერგიის სფეროში თანამშრომლობის განვითარების და ადრე მიღწეული შეთანხმებების რეალიზაციის შესახებ, რომელიც მოქმედებს 2025 წლის 31 დეკემბრამდე.



სადგურის ძირითადი პარამეტრები ჩამოთვლილია ქვემოთ:

- დადგენილი სიმძლავრე - 112.8 მვტ
- საპროექტო გამომუშავება - 217 მლნ. კვტ/სთ
- ჰიდროაგრეგატების რაოდენობა - 3 ცალი
- თითოეული ჰიდროაგრეგატის დადგენილი სიმძლავრე - 37.6 მვტ
- ჰიდროელექტროსადგურის წყლის მაქსიმალური ხარჯი - 36 მ³/წმ.
- წყალსაცავში წყლის დონის მაქსიმალური ნიშნული - 1512 მ
- წყალსაცავში წყლის დონის მინიმალური ნიშნული - 1497.50 მ
- საანგარიშო დაწნევა - 370 მ
- ფაქტიური დაწნევა - 420 მ
- ტურბინის ტიპი - ციციხვიანი, ვერტიკალური
- ტურბინის ნომინალური სიმძლავრე - 38 ათასი კვტ
- ტურბინაში წყლის ხარჯი - 12 მ³/წმ.
- ბრუნვის სიჩქარე - 375 ბრ./წთ.
- გენერატორის ტიპი - ვერტიკალური, საკიდი
- ნომინალური სიმძლავრე - 37,6 მვტ
- ნომინალური ძაბვა - 10,5 კვ

2003 წლიდან, სსს „ინტერ რაო“-ს ჯგუფში შესვლის შემდეგ, ჰიდროელექტროსადგურზე „ხრამჰესი 1“ განხორციელდა ძირითადი და დამხმარე საშუალებების მოდერნიზაციისა და ავტომატიზაციასთან და ასევე სადგურის კეთილმოწყობასთან დაკავშირებული სარეაბილიტაციო სამუშაოები, მათ შორის:

- 9 კომპლექტი ზეთის ამომრთველი შეიცვალა LTB145D1/B 110 კვ ტიპის თანამედროვე ელეგაზის ამომრთველი;

- სამივე გენერატორზე დაყენებულია DECS 300 ტიპის ტირისტორული აგზნების თანამედროვე სისტემები;

- სამივე აგრეგატზე დამონტაჟებულია KSZD-S7 ტიპის რეგულირების ახალი ციფრული სისტემები;

- 110 კვ ღია გამანაწილებელ მოწყობილობაზე დაყენებულია 9 კომპლექტი ახალი დენის ტრანსფორმატორი 110 კვ ტიპის „TG“ 110-150 კვ და «CP» ძაბვის ტიპის ტრანსფორმატორის 2 კომპლექტი;

- დაყენებულია მაღალი ძაბვის ახალი შემზღუდავი (განმუხტველი) 110 კვ.

-რეაბილიტირებულია ძალოვანი ტრანსფორმატორების გაგრილების ავტომატური სისტემა;

- სამივე (3) ჰიდროაგრეგატზე რეაბილიტირებულია თერმო კონტროლის სისტემა;

- სადგურზე დაყენებულია საერთო სახანძრო სიგნალიზაცია.

-ჰიდროტექნიკურ შენობა-ნაგებობებში განხორციელდა სარემონტო სამუშაოები;

-ჰიდროაგრეგატზე №2 ძველი მუშა თვალი შეიცვალა ახალი თვლით, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიით დამზადებულია მთლიანი მასალისგან, რაც ამაღლებს თვლის სანდოობას და საექსპლუატაციო ვადას.

ჰიდროკვანძის ნაგებობების აღწერა

ჰიდროკვანძის ძირითადი და დამხმარე ნაგებობების შემადგენლობაში შედის:

1. სათაო კვანძი

- ზედაპირული წყალსაგდების კაშხალი;
- წყალმიმღები;
- ფსკერული წყალსაშვი;
- წყალსაცავი.



2. დერივაცია

- გვირაბი № 1
- რკინაბეტონის წყალგამტარი
- გვირაბი № 2

3. დაწნევითი სადგურის კვანძი

- გამათანაბრებელი შახტი კამერებით
- დაწნევითი ტურბინული წყალგამტარი
- დროსელური საკეტების სათავსოები
- ჰიდროელექტროსადგურის ნაგებობა სარინი არხით და ავარიული გადაგდების ღარით

წყალსაცავის მაქსიმალური სამუშაო ჰორიზონტი - ზღვის დონიდან 1512 მ., სარკის ზედაპირი შეადგენს 33,7 კმ², წყლის საერთო მოცულობა - ბრუტო 312 მილიონი მ³, ნეტო - 292 მილიონი მ³, მკვდარი წყლის მოცულობა 20 მილიონი მ³. წყლის ქვედა სამუშაო ჰორიზონტი შეადგენს 1497,50 მ. წყალსაცავის ამოქმედების პრიზმა არის 14,5 მ. წყალსაცავი შეიქმნა წალკის ხეობაში მდებარე კაშხალის აგებით. კაშხალის ტიპი - ქვა-მიწიანი ნაყარი, თხემის სიგრძე - 113 მ. კაშხალის თხემის ნიშნული - 1514,50 მ., ხოლო ზედა სიგანე - 5 მ., კაშხალის სიმაღლე მისი საფუძვლიდან - 32 მ.

კაშხალი აღჭურვილია ბეტონის საფუძველზე დაყენებული ფილტრაციის საწინააღმდეგო ლითონის ეკრანით, რომელიც დამზადებულია უჟანგავი ფოლადისგან. ზედა კბილის კონტური და შეერთებები დაფარულია ფილტრაციის საწინააღმდეგო ცემენტით. ფერდობების დახრილობა - ზედა 1:1,35; ქვედა 1:1,4.

მარცხენა სანაპიროზე კაშხალს აქვს ზედაპირული წყალსაგდები, რომელიც 6 მაღლისგან შედგება, წყალგამტარის თხემის ნიშნულით 1510 მ., აღჭურვილია ლითონის სრიალა საკეტებით ზედა ნიშნულით 1513 მ. ყოველი მაღის გამტარიანობა 53-55 მ³/წმ., წყალსაგდების ყველა მაღის ზოგადი გამტარიანობა 500 მ³/წმ.

ზედაპირული წყალსაგდები შეერთებულია წყლის მდინარე ხრამში გადაგდების სარინ არხთან. არხის გამტარიანობა არის 500 მ³/წმ.

დაწნევითი დერივაციის ტრასას მთლიან სიგრძეზე აქვს მხოლოდ ერთი ღუნი გამათანაბრებელი შახტის ახლოს, სადაც ჩაწერილია 200 მ. რადიუსის მქონე მრუდი. მთლიანი დერივაცია სამ ნაწილზე იყოფა:

- გვირაბი N1: სიგრძე 1378 მ., აქვს მრგვალი ჭრა შიდა დიამეტრით 3.2 მ., განივი ჭრის ფართი 8მ², გვირაბის გადახრა -0.003, გვირაბის ბოლოს დაწნევა 31 მ., მაქსიმალური სიღრმე 50 მ. გვირაბის მოპირკეთება არის რკინაბეტონის, ზედაპირის ხორკლიანობის შემცირებისა და გვირაბიდან წყლის საფილტრაციო დანაკარგის შემცირებისთვის შიდა ნაწილები დაფარულია რკინატორკეტული ფენით.
- რკინაბეტონის დაწნევითი წყალგამტარი 1308,8 მ. სიგრძით, ოვალური ჭრით, წყალგამტარის დახრილობა იცვლება 0,003-დან 0,018-მდე. წყალგამტარის ბოლოს წყლის დაწნევა არის 38 მ. წყალგამტარის შიდა ზედაპირზე დატანილია რკინატორკრეტის ფენა. განივი ჭრილის ფართი არის 8მ². რკინაბეტონის წყალგამტარი ჩადებულია ტრანშეაში და დაფარულია გრუნტით. წყალგამტარის დასაწყისში და ბოლოს არსებობს ჰერმეტიკული ლიუკები შესვლისა და დერივაციის დათვალიერებისათვის, ხოლო წყალგამტარის შუა ნაწილში არსებობს ჰერმეტიკული ეზოები სარემონტო სამუშაოების შესრულებისთვის.

- გვირაბი N2, სიგრძე 4859,1 მ.. გვირაბის ჭრილი მრგვალი დიამეტრით 3,2 მ., გვირაბის დახრილობა გამათანაბრებელ შახტაში არის 0,0043. წყლის დაწნევა გვირაბის ბოლოს არის 63,2 მ. გვირაბის მოპირკეთება-რკინაბეტონის, ხოლო მყარი ქანებზე - ბეტონის, შიდა ზედაპირი ასევე მოპირკეთებულია რკინატორკრეტით. გვირაბის მაქსიმალური გაღრმავება დედამიწის ზედაპირიდან არის 95 მ. გვირაბის შუა ნაწილში არსებობს საექსპლუატაციო შახტა ლიუკით, რომლის სიგრძეა 92 მ., ხოლო დიამეტრი 4 მ.

3. საზოგადოების მდგომარეობა დარგში: ბაზარი, მარკეტინგი, გაყიდვები

სს „ხრამჰესი 1“-ის ძირითადი საქმიანობა არის ელექტროენერგიის წარმოება. 2018 წელს საზოგადოება სხვა საქმიანობას არ ახორციელებდა. ელექტროენერგიის საშუალო წლიური გამომუშავების მოცულობა საშუალოდ საქართველოში ერთ წელიწადში გამომუშავებული ელექტროენერგიის 2%-ს შეადგენს.

საანგარიშო წლის განმავლობაში საქართველოს ენერგოსისტემის განვითარების ტენდენციები შეფასებულია როგორც ზომიერად ოპტიმისტური, რაც დაკავშირებულია საანგარიშო წლის განმავლობაში მომხდარ მოვლენებთან, რომლებმაც მნიშვნელოვნად იმოქმედეს დარგის საერთო მდგომარეობაზე:

- ქვეყანაში ელექტროენერგიის მოხმარების ზრდა;
- საანგარიშო წლის ბოლოს ეროვნული ვალუტის მკვეთრი დევალვაცია აშშ-ს დოლართან მიმართებაში;
- ქვეყანაში მნიშვნელოვანი სოციალური და პოლიტიკური ზეგავლენა ენერგეტიკის სექტორზე;

საზოგადოების მმართველობის აზრით, სს „ხრამჰესი 1“-ის განვითარების ტენდენცია დარგის ზოგად ტენდენციებზე უკეთესია, რაც შემდეგ ფაქტორებთან არის დაკავშირებული:

- წყლის წლიური რეგულირების მნიშვნელოვანი აუზის არსებობა გვადლევს გამომუშავების დაგეგმვის შესაძლებლობას ქვეყნის ენერგოსისტემის მოთხოვნის გათვალისწინებით.

- ეროვნული ვალუტის დევალვაცია აშშ დოლართან მიმართებაში აუმჯობესებს საზოგადოების პროდუქციაზე ფასების კონკურენტუნარიანობას თბოელექტროსადგურების მიერ გამომუშავებულ ან იმპორტირებულ ელექტროენერგიასთან შედარებით.

დარგში მდგომარეობის შენარჩუნებისთვის, სს „ხრამჰესი 1“ -ის მიერ მიღებული იქნება შემდეგი ზომები:

- ტექნიკური მდგომარეობის სათანადო დონეზე შენარჩუნება;
- სადგურის შეუფერხებელი მუშაობის და ხარჯების ოპტიმიზაციის ხელშეწყობა;

- გონივრული აუცილებლობის პრინციპით, ძირითად აღჭურვილობაში ინვესტიციების უზრუნველყოფა.

ჩვენი აზრით, აღნიშნული ზომების კომპლექსი უზრუნველყოფს საზოგადოების მიერ უახლოეს მომავალში შემდეგი შედეგების მიღწევას:

- ეფექტურობის ყველა ძირითადი საკვანძო მაჩვენებლის შესრულება;
- სარემონტო და საინვესტიციო პროგრამების შესრულება;

სავარაუდო უარყოფითი ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება უახლოეს წლებში უარყოფითად აისახონ საზოგადოების განვითარების ტემპებზე, შეიძლება იყოს შემდეგი:

- ადგილობრივი ვალუტის არასტაბილური კურსი სარეზერვო ვალუტებთან მიმართებაში;

- დაბალი დონის ნალექების ციკლის დადგომა;
- ცვლილებები საკანონმდებლო და მარეგულირებელ აქტებში;
- ქვეყანაში ენერგოსექტორში სოციალური და პოლიტიკური ზეწოლის გაძლიერება

- შიდაპოლიტიკური მდგომარეობის გართულება, რომელიც გამოიწვევს ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის შემცირებას და შესაბამისად შეამცირებს ელექტროენერგიის მოხმარებას;

სს „ხრამჰესი 1“-ს მმართველობა სთავაზობს აღნიშნული უარყოფითი ფაქტორების წარმოშობის შემთხვევაში რისკების შემცირების შემდეგ ზომების:

-საზოგადოების კონკურენტული უპირატესობების ელექტროენერგიის ბაზარზე სრული რეალიზაცია.

- საზოგადოების გამომუშავების წლიური გრაფიკის შედგენა ქვეყანაში ელექტროენერგიაზე მოთხოვნის სეზონურობის გათვალისწინებით.


2000 წლიდან, პირდაპირი ხელშეკრულებების საფუძველზე, საზოგადოების ელექტროენერგიის ერთადერთი მყიდველი არის სს „თელასი“, რაც გამორიცხავს საზოგადოების კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორების წარმოშობას.

4. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები

საზოგადოების ძირითადი სამეწარმეო და ფინანსური მაჩვენებლების დინამიკა შეიძლება დახასიათდეს შემდეგნაირად:

საქმიანობის ძირითადი სამეწარმეო მაჩვენებლები

მაჩვენებლები	მილიონი კვტ *სთ		
	2017 წ.	2018 წ.	% ცვლილება
ელექტროენერგიის გამომუშავება	195	194	-0,5%
ელექტროენერგიის საკუთარი მოხმარება და ტრანსფორმატორებში დანაკარგები	3.4	3.6	5,9%
ელექტროენერგიის სასარგებლო გაშვება	192	191	-0,6%



ძირითადი სამეწარმეო მაჩვენებლების დინამიკა ადასტურებს ჰიდროელექტროსადგურის სტაბილურ მუშაობას, რაც განპირობებულია სადგურის საექსპლუატაციო სანდოობის მუდმივ შენარჩუნებასთან.

„ინტერ რაო“-ს მიერ სს „ხრამჰესი 1“-ის და სს „ხრამჰესი 2“-ს შეძენაზე ინვესტიციების გარანტირებული დაბრუნების უზრუნველყოფის მიზნით, ასევე ლარის კურსის აშშ დოლართან მიმართებაში შეცვლასთან დაკავშირებით საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულების N30 საფუძველზე, რომელიც დათარიღებულია 31.10.2017წ., განხორციელდა ტარიფის შესწორება და დადგინდა სს „ხრამჰესი 2“-ის ახალი გრძელვადიანი ტარიფები 2025 წლამდე:

- 2017 წლის 1 ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით - – 9.781 თეთრი/კვტსთ;
- 2019 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით - 9.147 თეთრი/კვტსთ;
- 2022 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით - 2.3 თეთრი/კვტსთ.

პირდაპირი ხელშეკრულების თანახმად, ელექტროენერგიის მიწოდება 2018 წლის იანვრიდან აპრილის ჩათვლით განხორციელდა სს თელასზე დადგენილი ტარიფით 9.781 თეთრი / კვტსთ. მაგრამ 2018 წლის

მაისიდან სს "თელასმა" უარი თქვა კომპანიის მიერ წარმოებული ელექტროენერგიის შესყიდვაზე და 2018 წლის მაისში კომპანიამ გააფორმა კონტრაქტები ელექტროენერგიის გაყიდვის მიზნით ორ საბოლოო მომხმარებელთან წლის ბოლომდე, შემდეგი ტარიფებით.

2018 წლიდან 2018 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით (საზაფხულო პერიოდი) - 7.00 თეთრი / კვტსთ;

2018 წლის 1 სექტემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით - 9.781 თეთრი / კვტსთ.

რეალიზაციიდან მიღებული მოგება ფულადი გამოსახულებით 16 711 ათას ლარს შეადგენს.

ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი შედეგები

მაჩვენებლების დასახელება	2017 წ.	2018 წ.	ათასი ლარი
			% ცვლილება
რეალიზაციიდან მოგება	16 512	16 711	1.2%
ძირითადი საქმიანობიდან მოგება (ზარალი)	5 653	7 613	34.7%
EBITDA	12 616	12 694	0.6%
წმინდა მოგება (ზარალი)	4 611	8 075	75.1%

2018 წელს ფინანსური-სამეურნეო საქმიანობის შედეგად, საზოგადოებას მიღებული აქვს წმინდა მოგება 8 075 ათასი ლარის ოდენობით. წინა პერიოდის მოგებასთან შედარებით წმინდა მოგების ზრდა დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების გადაფასების ზარალის არ არსებობასთან. რომელიც ჩამოწერილ იქნა 2017 წელს, ასევე მოგების გადასახადთან, ვინაიდან აქციონერთა გადაწყვეტილებით არ იქნა გადახდილი დივიდენდები, მისაღები პროცენტის ზრდასთან, ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების სესხად რესტრუქტურისაციასთან სს „თელასი“, ძირითადი საშუალებების გაუფასურებაზე ხარჯებთან, რომლებიც მიღებულია საკურსო სხვაობების სალდოს გაზრდის დროს ძირითადი საშუალებების ხელახალი შეფასების შედეგად.

ანალიტიკური მაჩვენებლები

საზოგადოების ლიკვიდობის მაჩვენებლები

მაჩვენებლების დასახელება	2017 წ.	2018 წ.
სასწრაფო ლიკვიდობის მაჩვენებლები	2.52	3.63
მიმდინარე ლიკვიდობის მაჩვენებლები	2.57	3.69

საანგარიშო წლის ლიკვიდობის მაჩვენებლები გაუმჯობესებულია და აღემატება მაჩვენებელს 3, რაც ნიშნავს, რომ ფულადი სახსრებით და მოსალოდნელი მისაღები თანხებით შესაძლებელია საზოგადოების მიმდინარე ვალდებულებების დაფარვა. ძირითადი მიზეზი ინდიკატორების ზრდისთვის - ეს არის ფულადი სახსრების ნაშთის მნიშვნელოვანი ზრდა.

საზოგადოების რენტაბელობის მაჩვენებლები

მაჩვენებლების დასახელება	2017 წ.	2018 წ.
გაყიდვების რენტაბელობა	50.9%	45.6%
აქტივების რენტაბელობა (ROA)	7.7%	11.5%
საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა (ROE)	7.5%	11.6%

საანგარიშო პერიოდის რენტაბელობის მაჩვენებლები მაღალია, რაც იმას ნიშნავს, რომ მიმდინარე ტარიფზე ელექტროენერგიის წარმოება და რეალიზაცია კომპანიას მნიშვნელოვან მოგებას მოუტანს. ეს მაჩვენებლები სრულყოფილად ასახავს მატერიალური, შრომის, ფულადი სახსრებისა და სხვა რესურსების გამოყენების ეფექტურობის ხარისხს.

საზოგადოების ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები

მაჩვენებლების დასახელება	2017 წ.	2018 წ.
ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი	0.93	0.93
მთლიანი ვალდებულებებისა და კაპიტალის შეფარდება	0.08	0.07

მაჩვენებლების მონაცემებიდან ჩანს, რომ საკუთარი კაპიტალის წილი ბალანსის ვალუტაში შეადგენდა 0,93, რაც აღემატება რეკომენდებულ მნიშვნელობას და საზოგადოების მაღალ ფინანსურ დამოუკიდებლობაზე მეტყველებს.

სესხის და საკუთარი კაპიტალის შეფარდება 0.07 ოდენობით (სესხის კაპიტალის 0,07-ზე მოდის საკუთარი კაპიტალის ერთი ლარი) მეტყველებს კომპანიის ფინანსურ მდგრადობაზე.

საზოგადოების აქტივების სტრუქტურა და დინამიკა

2018 წლის 31 დეკემბერს საზოგადოების აქტივების საერთო ღირებულება 74 281 ათას ლარს შეადგენდა. აბსოლუტურ გამოხატულებაში, აქტივების მოცულობა საანგარიშო წლის განმავლობაში გაიზარდა 8 194 ათასი ლარის ოდენობით. საანგარიშო წლის ბოლოს არა საბრუნავი აქტივების მოცულობა გაიზარდა 2 345 ლარით და შეადგინა 56 338 ათასი ლარი, ხოლო საბრუნავი აქტივების წილი გაიზარდა 5 849 ლარით და 17 943 ათასი ლარი შეადგინა. საზოგადოების აქტივების ღირებულების ზრდის ძირითადი მიზეზი არის ძირითადი საშუალებების ღირებულების ზრდა მათი სამართლიანი ღირებულებით ხელახალი შეფასების შედეგების მიხედვით და ასევე სს „თელასი“-ს დებიტორული დავალიანების ზრდა ელექტროენერგიის რეალიზაციაზე ხარჯების შემცირების გამო.

საზოგადოების 2018 წლის ფინანსური (საბუღალტრო) ანგარიშგება შედგენილია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და აუდიტირებულია EY Georgia LLC კომპანიის მიერ.

5. საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

სს „ხრამჰესი 1“-ის შეძენაში ჩადებული ინვესტიციების ამოღების მიზნით, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 07.04.2011 წლის N5 დებულების საფუძველზე, სს „ხრამჰესი 1“-ის და სს „ხრამჰესი 2“-ის გაშვებულ ელექტროენერგიაზე დადგინდა გრძელვადიანი ტარიფები 2025 წლამდე, სადაც გათვალისწინებულია ტარიფის მნიშვნელოვანი ზრდა 01.01.2014 წ..

საჯარო სააქციო საზოგადოება „ინტერ რაო“-ს მიერ სს „ხრამჰესი 1“-ის და სს „ხრამჰესი 2“-ს შეძენაზე ინვესტიციების გარანტირებული დაბრუნების უზრუნველყოფის მიზნით, ასევე ლარის კურსის აშშ დოლართან მიმართებაში შეცვლასთან დაკავშირებით, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულების N30 საფუძველზე, რომელიც დათარიღებულია 31.10.2017წ., განხორციელდა ტარიფის შესწორება და დადგინდა სს „ხრამჰესი 2“-ის ახალი გრძელვადიანი ტარიფები 2025 წლამდე.

აქედან გამომდინარე, შემდგომ წლებში საზოგადოება გეგმავს მოგების მიღებას, და შესაბამისად, საზოგადოების რენტაბელურობის, ლიკვიდობის და ფინანსური მდგრადობის მაღალი მაჩვენებლების მიღებას.

ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის დაგეგმილი მაჩვენებლების მისაღწევად, სს „ხრამჰესი 1“ გეგმავს სადგურის საექსპლუატაციო სანდოობის შენარჩუნებას. მაღალი წყლის ბალანსის შემთხვევაში, შეიძლება გამოვიდეთ მაღალ სამეწარმეო მაჩვენებლებზე, რომლებიც მიღწეულ იქნა წინა წლებში.

რეფორმირება ენერგეტიკულ სექტორში

2014 წელს ევროკავშირმა და საქართველომ ხელი მოაწერეს ასოცირების შეთანხმებას, რომლის განუყოფელი ნაწილია შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ.

2016 წლის 18 ოქტომბერს საქართველომ ხელი მოაწერა ევროპის ენერგო თანამეგობრობის წევრობის შესახებ ოქმს და ავტომატურად შეუერთდა ევროკავშირის დირექტივებს და წესებს ელექტროენერგიის, გაზის, ნავთობის, განახლებადი ენერგიის წყაროების, ენერგოეფექტურობისა და გარემოს შესახებ.

ენერგეტიკულ თანამეგობრობასთან მიერთების ოქმში საქართველომ პირობა დადო, თავისუფალი ენერგეტიკული ბაზრის შექმნაზე, კერძოდ, ელექტროენერგია, თავისუფალი კონკურენციის პრინციპის დაცვით.

ამ რეფორმის განხორციელების მიზნით შეიქმნა ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ კანონპროექტი, რომელიც 2018 წლის ბოლოს საქართველოს მთავრობის სხდომაზე იყო განხილული და გადაცემული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. მთავრობის დამტკიცების შემდეგ, კანონპროექტი საქართველოს პარლამენტში წავა. საქართველოს ახალი ელექტროენერგეტიკული ბაზარი ძალაში შედის საქართველოს პარლამენტის მიერ ამ კანონის დამტკიცების შემდეგ, ამასთან მოქმედია გარდამავალი პერიოდი 2022 წლამდე.

ამ რეფორმას განსაკუთრებული გავლენა არ ექნება კომპანიის წარმოებასა და კომერციული საქმიანობაზე ვინაიდან კომპანიის ტარიფები 2025 წლამდე გრძელვადიანი და ფიქსირებულია. ბაზარზე ახალი მყიდველების (პირდაპირი მომხმარებლების, მოვაჭრეების) წარმოქმნას, როგორც ფინანსური თვალსაზრისით, ასევე კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით (ბაზარზე კონკურენტუნარიანი პოზიციის შეცვლა) კონკრეტული გავლენა არ ექნება. ამ ეტაპზე არ არის გათვალისწინებული ელექტროენერგიის მწარმოებლების ტარიფების დერეგულირება, შესაბამისად, ეს რეფორმა უფრო გამანაწილებელ კომპანიებს ეხება.

6. საზოგადოების ეფექტურობის საკვანძო მაჩვენებლების სისტემა

ეფექტურობის საკვანძო მაჩვენებლები წარმოადგენს ძირითადი მაჩვენებლების სისტემას, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია საქმიანობის ეფექტურობის შეფასებისთვის და დადგენილია როგორც შესაბამის წლიურ პერიოდში განვითარების მთავარი სამიზნე კრიტერიუმები (ორიენტირები).

2018 წლის განმავლობაში საზოგადოების ძირითადი ამოცანა იყო აქტივების ფლობის და მართვის ეკონომიური ეფექტურობის უზრუნველყოფა, მათ შორის აქტივების მომგებიანობის ამაღლება. აღნიშნული ამოცანის ფარგლებში შემუშავებულ იქნა საზოგადოების

ეფექტურობის საკვანძო მაჩვენებლების და საკონტროლო მაჩვენებლების ჩამონათვალი, რომელიც დამტკიცდა საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით (სამეთვალყურეო საბჭოს ოქმი N4, 28.02.2018წ.).

მენეჯმენტის მატერიალური სტიმულირების მიზნით, ეფექტურობის საკვანძო მაჩვენებლებს დაემატა საკონტროლო მაჩვენებლები, რომელთა სავალდებულო შესრულება წარმოადგენს საზოგადოების მმართველობის წახალისების წინაპირობას.

2018 წლის განმავლობაში საზოგადოების მიერ გაწეული საქმიანობის შედეგების მიხედვით, საკონტროლო მაჩვენებელი და ეფექტურობის საკვანძო მაჩვენებელი შესრულებულია შემდეგნაირად:

ეფექტურობის საკვანძო მაჩვენებლის დასახელება	მაჩვენებლის შესრულების დონე			ყველა მაჩვენებელი
	ქვედა	სამიზნე	ზედა	
ეფექტურობის საკვანძო მაჩვენებელი 1. EBITDA 2017 წლის ბიზნეს გეგმის მნიშვნელობიდან 2018წ	95%	100%	110%	50%
ეფექტურობის საკვანძო მაჩვენებელი 2. საოპერაციო ფულადი ნაკადი 2018 წლის ბიზნეს გეგმის მნიშვნელობიდან	95%	100%	110%	40%
ეფექტურობის საკვანძო მაჩვენებელი 3	-	100%	90%	10%

საკონტროლო მაჩვენებლის დასახელება	სამიზნე მაჩვენებელი	ფაქტიური მნიშვნელობა	გავლენის ხარისხი (წონა)
საკონტროლო მაჩვენებელი 1. ავარიების (წონა 40%) ან უბედური შემთხვევების (წონა 30%) არარსებობა ან ტრავმატიზმის სიხშირის კოეფიციენტის (წონა 30%) შესრულება	100%	100%	100% მდე
საკონტროლო მაჩვენებელი 2. შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მუშაობისათვის მზადყოფნის პასპორტის მიღება (არსებობა);	100%	100%	100%
საკონტროლო მაჩვენებელი 3. საანგარიშგებო და საშემსრულებლო დისციპლინის დაცვა და კორპორაციული ღონისძიებების გეგმის შესრულება;	100%	100%	50% მდე

საკონტროლო მაჩვენებელი 4. სსს „ინტერრაო“-ს შიდა აუდიტის ბლოკის მიერ გეგმიური და არაგეგმიური შემოწმების შედეგების მიხედვით არსებითი შენიშვნების არარსებობა;	მნიშვნელოვანი შენიშვნები არ არსებობს	მნიშვნელოვანი შენიშვნები არ არსებობს	100% მდე
--	--------------------------------------	--------------------------------------	----------

ეფექტურობის საკვანძო მაჩვენებლების და საკონტროლო მაჩვენებლების შესრულება 2018 წლისთვის კორპორატიული ღონისძიებების გეგმის შესაბამისად განხილული იქნა 2019 წლის აპრილში.

7. სარემონტო საქმიანობა

2018 წელს სარემონტო სამუშაოების საფუძველზე შეკეთდა 479 ათასი ლარის ღირებულების რემონტი:

პროექტების დასახელება	პროექტის ღირებულება (ათასი ლარი)
მიმდინარე რემონტი ჰიდროაგრეგატების №1,2,3	172
ძალოვანი ტრანსფორმატორის კაპიტალური რემონტი №3	56
ღია მილსადენების კომპენსატორების რემონტი	175
წყალმიმღების დისკური საკეტების კაპიტალური რემონტი	35
აკუმულატორების შენობის რემონტი	41
სულ:	479

ყველა პროექტზე სარემონტო პროგრამა შესრულებულია დაგეგმილი მოცულობით, თითოეულ პროექტთან დაკავშირებით განხორციელებული შესყიდვის პროცედურების შედეგად მიღწეულია ღირებულების გამოსახულებაში უმნიშვნელო ეკონომია.

8. საინვესტიციო საქმიანობა

2018 წლის განმავლობაში, საზოგადოების მიერ განხორციელდა კაპიტალური ინვესტიციები 3 019 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2018 წელს ათვისების მოცულობა (ათასი ლარი, დღგ-ს გარეშე)
წყალმიმღების გამწმენდი მოწყობილობის სისტემის შექმნა	315
ტურბინის სიჩქარის რეგულატორის სერგომრავის კორპუსისა და დგუშის შეძენა და მონტაჟი	276
110 კვ გამთიშველების შეძენისა და შეცვლა (3 კომპ.)	131
საკუმულატორი ელემენტებისა და დამტენი მოწყობილობის შეძენა	385
სპეც ტექნიკის შეძენა (2 ერთეული)	416
110 კვტ ბლოკური ტრანსფორმატორის ცეცხლ საწინააღმდეგო ავტომატური სისტემის პროექტირება, შეძენა და მონტაჟი	890
საკაბელო ნახევარსართულის ცეცხლ საწინააღმდეგო სისტემის პროექტირება, შეძენა და მონტაჟი	525
სხვა ინვესტიციები კაპიტალური ინვესტიციების ფორმით	81
სულ:	3 019

საინვესტიციო პროექტების დაფინანსების წყარო იყო საკუთარი სახსრები (ამორტიზაცია).

სადგურის სანდოობის შენარჩუნებისთვის, საზოგადოება გეგმავს შემდგომი 5 წლის განმავლობაში შემდეგი დიდი საინვესტიციო პროექტის რეალიზაციას:

დასახელება	დაფინანსების მოსალოდნელი მოცულობები
ელექტროენერგიის გადამცემი ხაზების და გენერატორების ზოგადი სადგურის ავტომატიკის და სარეგულაციო დაცვის დაპროექტება, მიწოდება და დამონტაჟება	4 185
ჰიდროაგრეგატი №1 სტატორის შეძენა და შეცვლა	3 336
ჰიდროაგრეგატის №2 სტატორის შეძენა და შეცვლა	3 308
ჰიდროაგრეგატის №3 სტატორის შეძენა და შეცვლა	3 389
110 კვ გამთიშველების შეძენა და შეხვლა (12 კომ)	538

9. შესყიდვების საქმიანობა

2018 წელს შესყიდვის საქმიანობის განხორციელების დროს, საზოგადოება ხელმძღვანელობდა შემდეგი დებულებებით:

- დებულება სს „ხრამჭესი 1“-ის საჭიროებებისთვის საქონლის, მომსახურების და სამუშაოების რეგლამენტირებული შესყიდვების ჩატარების წესის შესახებ (დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, ოქმი N9, დათარიღებულია 19.07.2016 წ.);

- სს „ხრამჭესი 1“-ს შესყიდვების წლიური კომპლექსური პროგრამა 2018 წლისთვის დამტკიცებულია ცენტრალური შესყიდვის ორგანოს გადაწყვეტილებით (ოქმი N 2017-12 , დათარიღებულია 04.11.2017წ.) 5 748 ათასი ლარის თანხაზე (52 ლოტი).

2018 წელს საზოგადოების ინტერესებში განხორციელდა 48 შესყიდვა 5 830 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

№№	დასახელება	რაოდენობა	შესყიდვების საერთო ღირებულება დღგ-ს გარეშე (ათასი ლარი)
1	ღია კონკურსი	6	2 580
2	შეთავაზების ღია მოთხოვნა	15	2 727
3	ფასების ღია მოთხოვნა	12	320
4	ერერთი მიმწოდებლისგან შესყიდვა	1	42
5	შესყიდვების რიგი 25000 ათას ლარამდე	14	161
	სულ	48	5 830

2018 წელს შესყიდვების ძირითადი ნაწილი განხორციელდა სარემონტო და საინვესტიციო საქმიანობაში, პროექტებზე, რომლებიც აღწერილია წინა თავებში.

10. საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის ძირითადი ფაქტორების აღწერილობა

საზოგადოება გამოყოფს რისკის შემდეგ ძირითად ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება უარყოფითად აისახონ ჰიდროელექტროსადგურის საქმიანობაზე:

- ადგილობრივი ვალუტის არასტაბილური კურსი სარეზერვო ვალუტებთან მიმართებაში;
- ნალექების დაბალი დონის ციკლის დადგომა;
- შიდა პოლიტიკური მდგომარეობის გართულება, რომელიც გამოიწვევს ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის შემცირებას და შესაბამისად შეამცირებს ელექტროენერგიის მოხმარებას;
- ქვეყნის ენერგეტიკულ სექტორზე სოციალური და პოლიტიკური გავლენის გაძლიერება;
- ტექნოგენური რისკი (ამინდის და კლიმატური მოვლენები და კატაკლიზმები).

აღნიშნული უარყოფითი ფაქტორების წარმოშობის შემთხვევაში რისკების შემცირების მიზნით, სს „ხრამჰესი 1“-ის მმართველობა აპირებს შემდეგი ღონისძიებების ჩატარებას:

- სარემონტო და პროფილაქტიკური სამუშაოების გეგმიური ჩატარება;
- სადგურის ტექნიკური ექსპლუატაციის და უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვა;
- საზოგადოების გამომუშავების გრაფიკის შედგენა ქვეყანაში ელექტროენერგიაზე მოთხოვნის სეზონურობის გათვალისწინებით.

11. კომპანიის აქციებზე გამოცხადებული - გადახდილი დივიდენდების შესახებ ანგარიში

2000-2009 წლების პერიოდში, აქციონერთა წლიური საერთო კრების გადაწყვეტილებით, დივიდენდები არ გადახდილა.

2010 წლის შედეგების მიხედვით, 2011 წლის 29 ივნისს დათარიღებული ერთადერთი აქციონერის N1 გადაწყვეტილებით, დივიდენდები 1 700 ათასი ლარის ოდენობით იქნა გადახდილი.

2011 - 2013 წწ, ერთადერთი აქციონერის გადაწყვეტილებით, დივიდენდები არ გადაიხდიან.

2014 წელს, 2014 წლის 18 სექტემბრის დათარიღებული # 2-ის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცხადდა და გადახდილია 2,652 ათასი ლარის ოდენობით 2014 წლის პირველი ნახევრის შუალედური დივიდენდები.


2015 წელს, ეთადერთი აქციონერის გადაწყვეტილების საფუძველზე (გადაწყვეტილება # 1 14.03.2015წ, გადაწყვეტილება #3 10.09.2015წ და გადაწყვეტილება #4 25.12.2015წ) გამოცხადებულ და გადახდილ იქნა დივიდენდები დაგროვილი მოგებიდან 15 610 ათასი ლარის ოდენობით.

2016 წელს, ერთადერთი აქციონერის გადაწყვეტილებების საფუძველზე (გადაწყვეტილება #1 21.03.201, #3 29.09.2016წ და #4 27.12.2016წ) გამოცხადებულ და გადახდილ იქნა დივიდენდები გაუნაწილებელი მოგებიდან 10 500 ათასი ლარის ოდენობით.

2017 წელს, ერთადერთი აქციონერის №3 27.12.2017წ. გადაწყვეტილების საფუძველზე, წინა პერიოდის გაუნაწილებელი მოგებისაგან განისაზღვრა და გადახდილი იქნა 7 200 ათასი ლარის ოდენობით.

2018 წელს, ერთადერთი აქციონერის , დივიდენდები არ გადახდილა.

12. სააქციო კაპიტალის სტრუქტურა



საწესდებო კაპიტალის მოცულობა და აქციების რაოდენობა:

სს „ხრამჭესი 1“-ის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 3 447 237 ლარს. ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა - 3 447 237 ცალი, ყოველი აქციის ნომინალური ღირებულება არის 1 ლარი.

2011 წლის 13 აპრილს საქართველოს მთავრობის 31.03.2011წ. სპეციალური დებულების N717 საფუძველზე, ასევე სააქციო საზოგადოებების „ხრამჭესი 1“-ის და სს „ხრამჭესი 2“-ის აქციების ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, რომელიც დადებულია საქართველოს სახელმწიფოსა და კომპანია „Gardabani Holding B.V.“ შორის, სააქციო საზოგადოებების „ხრამჭესი 1“-ის და „ხრამჭესი 2“-ის აქციებზე 100% საკუთრების უფლება გადაეცა კომპანიას „Gardabani Holding B.V.“-ს.

13. სამეთვალყურეო საბჭო

სს „ხრამჭესი 1“-ის ერთპიროვნული აქციონერის გადაწყვეტილება N1-ის შესაბამისად, რომელიც დათარიღებულია 22.05.2017 წ., სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში აირჩიეს შემდეგი პირები:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:

დმიტრი ევგენის ძე ვოლკოვი

დაბადების წელი: 1969წ.

მონაცემები განათლების შესახებ: 1993 წელს დაამთავრა მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტი, სპეციალობა: ქვების და რეაქტორის მშენებლობა.

სამუშაო ადგილი: საჯარო სააქციო საზოგადოება „ინტერ რაო“
თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: ცენტრალურ აზიაში და ამიერკავკასიაში აქტივების მართვის ბლოკის ხელმძღვანელი

მოქალაქეობა: რფ

პირველად აირჩიეს სამეთვალყურეო საბჭოში: 01.02.2013 წ.

წილი საწესდებო კაპიტალში: 0%

პირის მფლობელობაში არსებული საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი: 0%

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

სვეტლანა ვლადიმერის ას. ივანიჩკინა

დაბადების წელი: 1976

მონაცემები განათლების შესახებ: 1997 წელს დაამთავრა რუსეთის გ.ვ. პლესანოვის სახელობის ეკონომიკური აკადემია.

სამუშაო ადგილი: საჯარო სააქციო საზოგადოება „ინტერ რაო“

ძირითადი სამუშაო ადგილის თანამდებობის დასახელება: ფინანსური დირექტორი

საქათველო: რფ

პირველად აირჩიეს სამეთვალყურეო საბჭოში: 22.05.2017 წ.

საწესდებო კაპიტალში წილი: 0%

პირის მფლობელობაში არსებული საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი: 0

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი:

ანდრეი ვიქტორის ას. ჩურილოვი

დაბადების წელი: 1984წ.

მონაცემები განათლების შესახებ: 2006 წელს დაამთავრა ციმბირის გეოსისტემის და ტექნოლოგიების სახელმწიფო უნივერსიტეტი, კვალიფიკაცია: ეკონომისტი.

2009 წ. დაამთავრა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან არსებული სახალხო მეურნეობის და სახელმწიფო სამსახურის აკადემია, კვალიფიკაცია: იურისტი

სამუშაოს ადგილი: საჯარო სააქციო საზოგადოება „ინტერ რაო“

თანამდებობის დასახელება სამუშაოს ძირითადი ადგილის მიხედვით:
ეკონომიკური უსაფრთხოების დეპარტამენტის ხელმძღვანელი

მოქალაქეობა: რფ


სამეთვალყურეო საბჭოს პირველად აირჩიეს: 13.05.2016 წ.

წილი საწესდებო კაპიტალში: 0%

პირის მფლობელობაში არსებული საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების
წილი: 0%

2018 წელს ჩატარდა საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს 17
დაუსწრებელი სხდომა, რომელზეც განიხილეს 46 საკითხი.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა მონაწილეობა სხდომებში:



2018 წლის სექტემბრიდან, სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრმა
უარი განაცხადა ანაზღაურების მიღებაზე საზოგადოების სამეთვალყურეო
საბჭოში მათი მუშაობის მთელი პერიოდისთვის.

14. გენერალური დირექტორი

საზოგადოების წესდების შესაბამისად, ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ახორციელებს გენერალური დირექტორი.

2008 წელს სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელიც დათარიღებულია 20.10.2008წ. (ოქმი N7), საზოგადოების გენერალური დირექტორის თანამდებობაზე დანიშნეს:

დევი ვაჟას ძე კანდელაკი

დაბადების წელი: 1969 წ.

მონაცემები განათლების შესახებ: 1991 წელს დაამთავრა თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი სპეციალობით „ფინანსები და კრედიტები“

სამუშაო ადგილი: სს „ხრამჭესი 1“

თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: სს „ხრამჭესი 1“-ის გენერალური დირექტორი

სხვა ორგანიზაციებში სხვა თანამდებობები ბოლო 5 წლის განმავლობაში:

სს „ხრამჭესი 2“-ის გენერალური დირექტორი

შპს „მტკვარი ენერგეტიკის“ გენერალური დირექტორი

პირველად დამტკიცდა სს „ხრამჭესი 1“-ის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე: 23.10.2008 წ.

მოქალაქეობა: საქართველო

წილი საწესდებო კაპიტალში: 0%

პირის მფლობელობაში არსებული საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი: 0%

15. საკადრო პოლიტიკა და სოციალური პასუხისმგებლობა


სს „ხრამჭესი 1“-ის საკადრო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები არის საზოგადოების თანამშრომლების უწყვეტი პროფესიული მომზადების დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც მოიცავს პერსონალის მომზადებას, გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას და ასევე თანამშრომლების შრომის დაცვის საკითხებს.

საზოგადოების საკადრო პოლიტიკა მიმართულია:

- პერსონალის განვითარებაზე და ახალგაზრდა სპეციალისტების მოწვევაზე;


- თანამშრომლების მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზებაზე;
- თანამშრომლების საქმიანი კარიერის დაგეგმვაზე და განვითარებაზე;
- საკადრო რეზერვის მომზადებაზე;
- პერსონალის მოტივაციის სისტემის გაუმჯობესებაზე;
- სოციალური პარტნიორობის განვითარებაზე;
- კორპორაციული პოლიტიკის როლის გაძლიერებაზე.

პერსონალის სტრუქტურა
განათლების მიხედვით 2018
წლის ბოლოს



■ Высшее (31 чел.)
■ Среднее техническое (8 чел.)
■ Среднее (24 чел.)

პერსონალის სტრუქტურა
თანამდებობის კატეგორიების
მიხედვით 2018 წლის ბოლოს



■ Руководители (7 чел.)
■ Специалисты (25 чел.)
■ Рабочие (31 чел.)

2014 წლიდან „ინტერ რაო“-ს ჯგუფის კომპანიები გადავიდნენ შრომის ანაზღაურების სისტემის ერთიანი მიდგომის სისტემაზე, რომელიც დაფუძნებულია შრომის ანაზღაურების შიდა სამართლიანობის და გარე კონკურენტუნარიანობის პრინციპებზე და მაღალი შედეგების მიღების მიზნით თანამშრომლების მოტივაციის ამაღლებაზე. ამისათვის საზოგადოებაში შემუშავებულია და დამტკიცებულია დებულება თანამშრომლების შრომის ანაზღაურების და წახალისების შესახებ.

აღნიშნული დებულების საფუძველზე, ცვლილებები შეიტანეს ხელფასის სტრუქტურაში და დაადგინეს თანამდებობების გრეიდების სისტემა შესაბამისი თანამდებობრივი სარგო, ინდივიდუალური წამახალისებელი ნამატის სამიზნე მნიშვნელობა და პრემიის სამიზნე პროცენტი.

2015 წლის 1 აგვისტომდე საზოგადოებამ გაიარა და დაამთავრა შრომის ანაზღაურების ახალ სისტემაზე გადასვლის ყველა ეტაპი, ე.ი. გადავიდა შრომის ანაზღაურების სამიზნე პირობებზე.

საანგარიშო წლის ბოლოს კადრები მთლიანად დაკომპლექტებულია და პერსონალის ფაქტიური რიცხვი 63 ადამიანს შეადგენს.

სს „ხრამჰესი I“ პოზიციონერებს საკუთარ თავს როგორც სოციალურად პასუხისმგებელი კომპანია. საზოგადოების ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა არის კვალიფიცირებული პერსონალის მოზიდვა და შენარჩუნება. კომპანიის მმართველობამ უნდა მიიღოს ზომები ახალი სპეციალისტების მოზიდვისა და არსებული სპეციალისტების შენარჩუნებისთვის, რომლებიც მათ მომსახურებაზე კონკურენტებთან არსებული მოთხოვნის მიუხედავად, მზად არიან ითანამშრომლონ ასეთ მომორეზულ რაიონში.

სადგური მდებარეობს მაღალმთიან რეგიონში. სადგურამდე და ჰიდრონაგებობამდე გზები არის კრიტიკულ მდგომარეობაში. საჯარო ტრანსპორტი არის არარეგულარული, ხოლო ზამთრის პერიოდში რეისები ხშირად უქმდება. მაღალი კვალიფიკაციის მქონე ტექნიკური პერსონალის ძირითადი ნაწილი ცხოვრობს ქ. თბილისში. ამასთან დაკავშირებით, ბევრი წლის განმავლობაში საკმაოდ რთული იყო პერსონალის ტრანსპორტირება. ამ მომენტისთვის ტექნიკური პერსონალი უზრუნველყოფილია მაღალი გამავლობის მანქანებით.

საზოგადოება ყოველწლიურად ატარებს ტრენინგებს ელექტროტექნიკური პერსონალისთვის და ასევე ელექტრო აღჭურვილობის ექსპლუატაციის დროს უსაფრთხოების (შრომის დაცვის) წესების, ელექტრო აღჭურვილობის ტექნიკური ექსპლუატაციის წესების, სახანძრო უსაფრთხოების და პირველადი სამედიცინო დახმარების წესების ცოდნის შემოწმებას. 2018 წელს ატესტაცია გაიარა სს „ხრამჰესი I“-ის 27 თანამშრომელმა.

საზოგადოება ყოველწლიურად უზრუნველყოფს ყველა თანამშრომლის სამედიცინო დაზღვევას. 2018 წელს თანამშრომლების დაზღვევაზე გაწეულმა ხარჯებმა 39 ათასი ლარი შეადგინეს.

სადგურზე ასევე შექმნილია და მოქმედებს სამედიცინო პუნქტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების გასაწევად საჭირო საშუალებებით.

სტრატეგიული სოციალური პოლიტიკის გარდა, რომლის ფარგლებში საზოგადოება ყველა ღონეს მიმართავს თანამშრომლებისთვის შრომის და ცხოვრების ნორმალური პირობების უზრუნველსაყოფად, საზოგადოება, შეძლებისდაგვარად, გასწევს ასევე მატერიალურ დახმარებას, რაც ასევე წარმოადგენს სს „ხრამჰესი 1“-ის სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილს.

სს „ხრამჰესი 1“-სთვის კეთილ ტრადიციად იქცა ყოველწლიურად ახლომდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ და კერძოდ სოფელ ბედიანში მდებარე სამონასტრო კომპლექსის განვითარების ფონდისთვის მატერიალური დახმარების გაწევა. აღნიშნული კომპლექსის ტერიტორიაზე არსებობს ქალთა მონასტერი და ბავშვთა თავშესაფარი. საზოგადოება გასწევდა დახმარებას ასევე სხვა საქველმოქმედო ორგანიზაციებს. უსასყიდლო დახმარების გაწევა დადებითად აისახება კომპანიის საზოგადოებრივ სტატუსზე.

16. გარემოს დაცვა

ეკოლოგიური მართვის სისტემა (დანერგვა, ფუნქციონირება, სერთიფიკაცია)

საზოგადოების სამეწარმეო საქმიანობის ეკოლოგიური ასპექტების მართვის მიზნით, საზოგადოებაში დანერგილია ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემა. ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის სერთიფიკაცია განხორციელდა ISO 14001:2004 საერთაშორისო სტანდარტით და პირველად ჩატარდა 2015 წელს. 2016 წელს წარმატებულად ჩატარდა პირველი ზედამხედველობითი აუდიტი „ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის ფუნქციონირება ISO 14001:2004-ს შესაბამისად“. აუდიტის შედეგების მიხედვით, სერთიფიკატის მოქმედება გაგრძელდა 1 წლით (სერთიფიკატი № 1210450707 TMS). 2017 წელს პერსონალის მომზადება

განხორციელდა ეკოლოგიური მენეჯმენტის ახალი სტანდარტით ISO 14001:2015, ასევე ჩატარდა ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის ზედამხედველობითი აუდიტი.

2018 წელს ჩატარდა სერთიფიცირებული აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ISO 14001:2015 და საზოგადოებას გადაეცა სერთიფიკატი ISO 14001:2015 №1210450707TMS მოქმედების ვადა 28.09.2021 წლამდე.

გარემოს დაცვაზე ხარჯები

2018 წელს გარემოს დაცვაზე ხარჯების ჯამურმა მოცულობამ 1 514 ათასი ლარი შეადგინა.

2018 წელს ბუნების დაცვითი ღონისძიებების ტრადიციულ მიმართულებებზე ჯამურმა საინვესტიციო ხარჯებმა 1 462 ათასი ლარი შეადგინეს. საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში, საზოგადოებას განხორციელებული აქვს შემდეგი პროექტები:

- 110 კვ ძაღოვანი ბლოკის ტრანსფორმატორების ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის შეძენა და დამონტაჟება;
- საკაბელო ნახევარსართულის ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის შექმნა;

2018 წელს გარემოსდაცვითი ღონისძიებების მიმდინარე ხარჯები 52 ათას ლარს შეადგენდა.

წყლის რესურსების გამოყენება

წყლის რესურსების (ზედაპირული წყლის ობიექტების) გამოყენებაზე გადახდა 2018 წელს შეადგენდა 0.23 ათას ლარს, ისევე როგორც 2017 წ. – 0,23 ათას ლარს.

**საზოგადოების მიერ წყლის მოხმარების მოცულობა 2016-2017 წწ.,
მილიონი მ3**

მაჩვენებლის დასახელება	2017	2018	% ცვლილება
სულ გამოყენებულია წყალი, მათ შორის:	230	229	4.30%
ზედაპირული წყლის ობიექტებიდან	230	229	4.30%
გარე მიმწოდებლებისგან	-	-	-
მიწისქვეშა წყლის ობიექტებიდან	-	-	-
წყლის განმეორებითი მოხმარების სისტემებიდან	-	-	-
წყლის მიწოდების საბრუნავ სისტემებში გამოყენებული წყლის ბრუტო მოცულობა, %	-	-	-
საბრუნავი და ხელმეორედ გამოყენებული წყლის წილი წყლის მოხმარების საერთო მოცულობაში, %	-	-	-

2018 წელს ზედაპირული წყაროებიდან აღებული წყლის მოცულობა შემცირდა 1 მლნ. მ3.-ით, რაც განპირობებულია ელექტროენერგიის გამომუშავების შემცირებით.

გარემოზე უარყოფითი გავლენისთვის გადახდა

საზოგადოების მაგენერირებელ აქტივებს არ აქვთ უარყოფითი გავლენა გარემოზე, როგორც წყლის რესურსების ნაწილში, ასევე ატმოსფეროს ნაწილში. შესაბამისად, საზოგადოებას არ აქვს გარემოზე გავლენისთვის დარიცხული გადახდა. საზოგადოება იხდის ნარჩენების დამუშავების ხარჯებს.

**2016 -2017 წწ. საზოგადოების ნარჩენების დამუშავებაზე ხარჯები,
ათასი ლარი**

მაჩვენებლის დასახელება	2017	2018	% ცვლილება
ნარჩენების დამუშავება	11.03	10.57	-4%

2018 წელს არ იყო დაკისრებული საჯარიმო სანქციები ბუნების დაცვის კანონმდებლობის დარღვევისთვის.

სამეწარმეო ნარჩენების მართვა

2018 წლის განმავლობაში ნარჩენების მოცულობა გაიზარდა 5 ტონით, რაც დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ 2016 წლის განმავლობაში დაგროვილი სამეწარმეო ნარჩენები დროებით ინახებოდა ჰიდროელექტროსადგურის ტერიტორიაზე.

საზოგადოების ნარჩენების მოცულობის შეცვლა 2016 -2017 წწ. განმავლობაში, ტონა


მაჩვენებლის დასახელება	2017	2018	% ცვლილება
წარმოიშვა ნარჩენები, მათ შორის	11.035	10.572	-4.2%
I საშიშროების კლასი	-	-	-
II საშიშროების კლასი	-	-	-
III საშიშროების კლასი	0.275	0.272	-1.1%
IV საშიშროების კლასი	-	-	-
V საშიშროების კლასი	10.760	10.300	-4.3%

17. ცნობები საზოგადოების მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში დადებული მსხვილი გარიგებების და ასევე იმ გარიგებების შესახებ, რომელთა შესრულებაში არსებობს დაინტერესება და რომლებიც შესრულებულია საზოგადოების მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში

საანგარიშო წლის განმავლობაში საზოგადოების მიერ არ იყო შესრულებული მსხვილი გარიგებები და ასევე გარიგებები, რომელთა შესრულებაში არსებობს დაინტერესება.

18. მონაცემები საზოგადოების წმინდა აქტივების მდგომარეობის შესახებ

საზოგადოების წმინდა აქტივების ღირებულების და საწესდებო კაპიტალის შეცვლის დინამიკა ბოლო სამი დასრულებული ფინანსური წლისთვის მოცემულია ქვემოთ:



19. დამატებითი ინფორმაცია აქციონერებისათვის

საზოგადოების დასახელება: სს „ხრამჰესი 1“

იურიდიული სტატუსი: სააქციო საზოგადოება

იურიდიული მისამართი და ფაქტიური ადგილსამყოფელის მისამართი:

საქართველო, წალკის რაიონი, ხრამჰესის დასახლება

რეგისტრაციის თარიღი და ნომერი: 13 დეკემბერი 1996 წ., №68/5-1

საიდენტიფიკაციო ნომერი: 243119727

ოფისი ქ. თბილისში:

ა.აფაქიძის ქ. №7/6

ტელეფონი: (995 32) 233 08 29

ფაქსი: (995 32) 221 29 69

ელექტრონული ფოსტის მისამართი: kguliashvili@khramhesi.ge

ვებ.გვერდი: www.khramhesi.ge

სს „ხრამჰესი 1“-ის რეგისტრატორი არის:

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“

მისამართი: საქართველო, 0162, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №74ა

ტელ.: (995 32) 222 53 51

ფაქსი: (995 32) 225 15 60

ლიცენზია №70006

სს „ხრამჰესი 1“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით შესრულებულია კომპანია EY Georgia LLC-ს მიერ.

იურიდიული მისამართი: საქართველო, 0005 ქ. თბილისი, კოტე აფხაზის ქ. N44

ტელ.: (995 32) 243 93 75

ფაქსი: (995 32) 243 93 76

ვებ.გვერდი: www.ey.com/georgia

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ხრამჭესი 1“

ფინანსური ანგარიშგება

*2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ხრამჭესი 1“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	8
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	9-39

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ხრამჭესი 1-ის“ აქციონერსა და დირექტორთა საბჭოს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „ხრამჭესი 1-ის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

The maximum exposure to credit risk at the reporting date was:

	31 December 2018	31 December 2017
Trade receivables (Note 10)	4,695	9,479
Cash and cash equivalents (Note 12)	11,127	1,658
Loan receivable (Note 11)	5,376	–
	21,198	11,137

(b) Liquidity risk

Liquidity risk is the risk that the Company will encounter difficulty in meeting the obligations associated with its financial liabilities that are settled by delivering cash or another financial asset. The Company's approach to managing liquidity is to ensure, as far as possible, that it will always have sufficient liquidity to meet its liabilities when due, under both normal and stressed conditions, without incurring unacceptable losses or risking damage to the Company's reputation.

Prudent liquidity risk management implies maintaining sufficient cash and the availability of funding through an adequate amount of committed credit facilities. The majority of the Company's current liabilities and current assets are due to/from related parties and therefore management believes that this provides the Company with sufficient flexibility with regard to the timing of payments and receipts as required for ensuring adequate liquidity in the business into the future. Even after deducting the amount of total overdue receivables from an entity under common control, classified as current as at 31 December 2018, the Company's current assets exceed its current liabilities as at the reporting date.

The following are the contractual maturities of financial liabilities.

31 December 2018	Carrying value	Contractual cash flows	On demand	0 to 3 months	3 months to 1 year	1 to 5 years
Financial liabilities						
Lease liabilities	85	133	–	7	20	106
Trade and other payables (Note 15)	4,846	4,846	4,486	360	–	–
	4,931	4,979	4,486	367	20	106
31 December 2017						
Financial liabilities						
Trade and other payables (Note 15)	4,712	4,712	4,344	368	–	–
Lease liabilities (as restated)	100	160	–	7	20	133
	4,812	4,872	4,344	375	20	133

Notes to the financial statements (continued)

16. Financial instruments and risk management (continued)**(c) Market risk**

Market risk is the risk that the fair value of future cash flows of a financial instrument will fluctuate because of changes in market prices. Market prices comprise two types of risks: Interest rate risk and currency risk. Financial instruments affected by market risk include loans and borrowings and current accounts in banks.

The sensitivity analysis in the following sections relate to the position as at 31 December 2018 and 2017. The sensitivity analyses have been prepared on the basis that the amount of net debt, the rate profile of the debt and the proportion of financial instruments in foreign currencies are all constant.

The Company is not subject to interest rate risk due to the fact that all of its financial assets and liabilities have fixed interest rates.

Foreign currency risk is the risk that the fair value or future cash flows of a financial instrument will fluctuate because of changes in foreign exchange rates. The Company's exposure to the risk of changes in foreign exchange rates relates primarily to the financial liabilities denominated in foreign currencies.

The Company does not hedge its exposure to currency risk. The Company's exposure to foreign currency risk was as follows based on notional amounts:

	USD – denominated	
	31 December 2018	31 December 2017
Trade and other payables	(4,486)	(4,344)
Cash and cash equivalents	292	115
Net exposure	(4,194)	(4,229)

A strengthening/weakening of the GEL, as indicated below, against the USD at 31 December 2018, would have increased/(decreased) profit or loss by the amounts shown below. The analysis is based on foreign currency exchanges rate variances that the Company considered to be reasonably possible at the end of the reporting period. The analysis assumes that all other variables, in particular interest rates, remain constant.

	Strengthening	Weakening
31 December 2018		
USD (20% movement)	839	(839)
31 December 2017		
USD (20% movement)	846	(846)

Notes to the financial statements (continued)

16. Financial instruments and risk management (continued)**(d) Fair values**

Fair values of the Company's financial assets and liabilities can be analyzed as follows:

		31 December 2018		31 December 2017	
	Level	Carrying value	Fair value	Carrying value	Fair value
Financial assets					
Trade receivables (Note 10)	Level 3	4,695	4,695	9,479	9,479
Cash and cash equivalents (Note 12)	Level 1	11,127	11,127	1,658	1,658
Loan receivable (Note 11)	Level 3	5,376	5,376	–	–
Financial liabilities					
Lease liabilities	Level 3	85	85	100	100
Trade and other payables (Note 15)	Level 3	4,846	4,846	4,712	4,712

The following methods and assumptions were used to estimate the fair values:

- ▶ the fair values of cash and cash equivalents, trade and other payables and trade receivables are approximated by their carrying amounts due to the short-term maturities of these instruments;
- ▶ the fair value of loan receivable and lease liabilities is estimated by discounting future cash flows using the prevailing market rates at the reporting dates.

(e) Capital management

The Company has no formal policy for capital management but management seeks to maintain a sufficient capital base for meeting the Company's operational and strategic needs.

17. Capital commitments**Contracts to acquire property, plant and equipment**

As of 31 December 2018 the Company does not have any open contracts to purchase property, plant and equipment (2017: none).

18. Contingencies**(a) Taxation contingencies in Georgia**

The taxation system in Georgia is relatively new and is characterised by frequent changes in legislation, official pronouncements and court decisions, which are sometimes unclear, contradictory and subject to varying interpretation. In the event of a breach of tax legislation, no liabilities for additional taxes, fines or penalties may be imposed by the tax authorities after six years have passed since the end of the year in which the breach occurred.

These circumstances may create tax risks in Georgia that are more significant than in other countries. Management believes that it has provided adequately for tax liabilities based on its interpretations of applicable Georgian tax legislation, official pronouncements and court decisions. However, the interpretations of the relevant authorities could differ and the effect on these financial statements, if the authorities were successful in enforcing their interpretations, could be significant.

Notes to the financial statements (continued)

18. Contingencies (continued)**(a) Taxation contingencies in Georgia (continued)**

At each reporting date, management makes assessment of its tax positions and considers those transactions which may be challenged by Georgian Tax Authorities. When probability is assessed as high, the Company creates provisions.

19. Related party transactions**(i) Transactions with management**

Key management personnel of the Company received GEL 48 as remuneration during 2018 (2017: GEL 96), which is included in wages and bonuses and other employee benefits.

(ii) Revenue

	Sales to related parties 2018	Sales to related parties 2017	Amounts owed by related parties 31 December 2018	Amounts owed by related parties 31 December 2017
<i>Sale of electric power</i>				
Entities under common control (Notes 6,10)	3,448	15,282	1,935	9,479

Sales are based on approved tariff as set by the GNERC.

(iii) Trade and other payables

	Amounts owed to related parties 31 December 2018	Amounts owed to related parties 31 December 2017
<i>Entities under common control</i>		
Management fees (Note 15)	3,488	3,378
Technical fees (Note 15)	998	966
	4,486	4,344

(iv) Loans received

During 2017 the Company received and fully repaid a short-term loan from an entity under common control - Silk Road Holdings B.V. in amount of GEL 2,417. Interest expense accrued and repaid amounted to GEL 9.

(v) Loan issued

During 2018 the Company converted part of trade receivable from an entity under common control into a long-term loan (Note 11). The total loan receivable balance as at 31 December 2018 is GEL 5,376. The interest income for 2018 comprised GEL 352.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ხრამჭესი 1“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

ლევან ყიფიანი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ხრამჭესი 1“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	9-39

ლევან ყიფიანი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ხრამჭესი 1-ის“ აქციონერსა და დირექტორთა საბჭოს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „ხრამჭესი 1-ის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების მე-19 შენიშვნაზე, რომელიც ეხება დაკავშირებულ მხარეებთან კომპანიის გარიგებების მნიშვნელოვან კონცენტრაციას. ამ საკითხს გავლენა არ მოუხდენია ჩვენს მოსაზრებაზე.

ქაიკაძე ყიფიძე

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სხვა ინფორმაცია ასახულია კომპანიის 2018 წლის წლიურ ანგარიშში

სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის 2018 წლის წლიურ ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. კომპანიის 2018 წლის წლიური ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არც ახლა და არც მომავალში გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ ჩვენს ანგარიშში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის მეთვალყურეობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ხაჯან ყიჩქორ

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკენით, არსებობს თუ არა ისეთი მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ექვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკენით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება საბაზისო ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

ჩვენს ყოჩაღს

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაი საქართველოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

30 იანვარი, 2019 წ.

ლევან ყიფიძე

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ხრამჭესი 1“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათასი ლარი)

	შენიშვნა	2018	2017 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი ელექტროენერგიის რეალიზაციიდან	6	16,711	16,512
ცვეთა	9	(5,070)	(4,239)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი დაზღვევა		(1,582)	(1,591)
რემონტი და ტექნიკური მომსახურება		(595)	(568)
ქონების გადასახადი		(479)	(427)
პროფესიული მომსახურება		(415)	(413)
ტრანსპორტირების ხარჯი		(210)	(263)
ზარალი ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგად		(143)	(126)
სხვა საოპერაციო ხარჯები	9	–	(2,742)
საოპერაციო შემოსავალი		(604)	(490)
		<u>7,613</u>	<u>5,653</u>
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	7	(144)	(22)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	7	606	251
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		<u>8,075</u>	<u>5,882</u>
მოგების გადასახადის ხარჯი	8	–	(1,271)
წლის წმინდა მოგება		<u>8,075</u>	<u>4,611</u>
სხვა სრული შემოსავალი			
მუხლები, რომელთა შემდეგ პერიოდებზე მოგებაში ან ზარალში რეკლასიფიცირებაც არ ხდება (გადასახადის გათვალისწინებით)			
ძირითადი საშუალებების გადაფასება	9	–	14,564
წლის მთლიანი სრული შემოსავალი, წმინდა		<u>8,075</u>	<u>19,175</u>

ეს ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2019 წლის 30 იანვარს:

დევი კანდელაკი
გენერალური დირექტორი

ელენა მჭედლიძე
ფინანსური დირექტორი

9-39 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ხეივან ყიფიანი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ხრამჭესი 1“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათასი ლარი)

შენიშვნა	31 დეკემბერი, 2018 წ.	2017 (გადაანგა- რიშებული)	2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (გადაანგა- რიშებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	51,789	53,857
აქტივების გამოყენების უფლება	9	77	96
არამატერიალური აქტივები		66	40
გრძელვადიან აქტივებში გადახდილი ავანსები		-	-
სასესხო მოთხოვნები	11	4,406	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		56,338	53,993
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		312	233
საგადასახადო აქტივები, მოგების გადასახადის გარდა	14	648	580
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	10	4,695	9,479
სასესხო მოთხოვნები	11	970	-
გადახდილი ავანსები		191	144
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12	11,127	1,658
სულ მიმდინარე აქტივები		17,943	12,094
სულ აქტივები		74,281	66,087
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	13	3,447	3,447
გადაფასების რეზერვი		21,550	23,487
გაუნაწილებელი მოგება		44,353	34,341
სულ კაპიტალი		69,350	61,275
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	15	4,846	4,712
საიჯარო ვალდებულებების მოკლევადიანი ნაწილი		18	16
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,864	4,728
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები		67	84
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		67	84
სულ ვალდებულებები		4,931	4,812
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		74,281	66,087

9-39 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ქეთევან ყიფიანი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ხრამჭესი 1“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათასი ლარი)

	სააქციო კაპიტალი	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელ ი მოგება	სულ
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3,447	10,106	35,747	49,300
ახალი სტანდარტების მიღების გავლენა	-	-	-	-
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	3,447	10,106	35,747	49,300
წლის წმინდა მოგება	-	-	4,615	4,615
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	14,564	-	14,564
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	14,564	4,615	19,179
გადაფასების რეზერვის ცვეთა დივიდენდები (მე-13 შენიშვნა)	-	(1,183)	1,183	-
	-	-	(7,200)	(7,200)
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3,447	23,487	34,345	61,279
ახალი სტანდარტების მიღების გავლენა	-	-	(4)	(4)
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	3,447	23,487	34,341	61,275
წლის წმინდა მოგება	-	-	8,075	8,075
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	8,075	8,075
გადაფასების რეზერვის ცვეთა	-	(1,937)	1,937	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,447	21,550	44,353	69,350

9-39 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ხვათა ყიფილი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ხრამჭესი 1“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათასი ლარი)

	შენიშვნა	2018	2017 (გადაანგარიშებული)
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		8,075	5,882
არაფულადი კორექტირებები დასაბეგრი მოგების წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით			
ცვეთა	9	5,070	4,239
ამორტიზაცია		11	5
ზარალი ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგად	9	-	2,742
საინვესტიციო და ფინანსურ საქმიანობაში საკუროს სხვაობიდან მიღებული წმინდა (შემოსულობა)/ზარალი		(9)	6
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები		11	4
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	7	(607)	(58)
		12,551	12,820
საბრუნავ კაპიტალში შესული ცვლილებები			
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		(79)	(165)
ცვლილება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში		(2,240)	(1,331)
ცვლილება გადახდილ ავანსებში		(47)	(7)
წმინდა ცვლილება საგადასახადო აქტივებში		(68)	(76)
ცვლილება სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში		134	(84)
		10,251	11,157
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(1,271)
გადახდილი პროცენტი		-	(9)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		10,251	9,877
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითად საშუალებებში გადახდილი თანხები		(2,983)	(2,344)
არამატერიალურ აქტივებში გადახდილი თანხები		(47)	(2)
სასესხო მოთხოვნებიდან მიღებული შემოსავალი		2,000	-
მიღებული პროცენტი		255	58
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(775)	(2,288)
ფინანსური საქმიანობა			
გადახდილი დივიდენდები	13	-	(7,200)
აღებული სესხები		-	2,417
სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების დაფარვა		-	(2,411)
იჯარების დაფარვა		(16)	(19)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(16)	(7,213)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		9,460	376
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები			
პერიოდის დასაწყისში	12	1,658	1,288
წმინდა საკუროს სხვაობა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		9	(6)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	12	11,127	1,658

არაფულადი ოპერაციები:

- 2018 წლის განმავლობაში 7,024 ლარის სავაჭრო დებიტორული დავალიანება გარდაიქმნა გაცემულ გრძელვადიან სასესხო მოთხოვნებად (მე-11 შენიშვნა).

9-39 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ხავეზი ყიფიშვილი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ხრამჭესი 1“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათასი ლარი)

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

სს „ხრამჭესი 1“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული სააქციო საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია ხრამჭესი, წალკის რაიონი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ელექტროენერგიის წარმოება. მისი ძირითადი საოპერაციო აქტივია საქართველოში, წალკის რაიონში მდებარე ჰიდროელექტროსადგური („ხრამჭესი 1“). წარმოებული ელექტროენერგია საქართველოში იყიდება. კომპანიის მთავარი კლიენტია საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო - სს „თელასი“.

კომპანიას ხრამჭესი 1-ისთვის აქვს ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზია, რომელსაც ვადა 2024 წლის 24 დეკემბერს ეწურება.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციების 100%-ის მფლობელი იყო „გარდაბანი ჰოლდინგი ზივი“ (შემდგომში „მშობელი კომპანია“). კომპანიას აკონტროლებს ლსს „ინტერ რაო ეეს“ (შემდგომში „საბოლოო მშობელი კომპანია“). ლსს „ინტერ რაო ეეს-ს“ აკონტროლებს რუსეთის ფედერაცია.

როგორც მე-19 შენიშვნაში აღინიშნა, კომპანია საოპერაციო საქმიანობის ძირითად ნაწილს მშობელი კომპანიის საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებთან აწარმოებს.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა აქციონერის მიერ. აქციონერთა კრება, ჩვეულებრივ, ტარდება საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის პირველ ნახევარში. აქციონერს შეუძლია ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანა გამოშვების შემდეგ.

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა იმ ძირითადი საშუალებებისა, რომლებიც შეფასებულია გადაფასების მეთოდით.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ათას ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ქეთევან ყიფიძე

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ხრამჭესი 1“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

გადაანგარიშებები

2018 წლის 1 იანვრიდან კომპანია რეტროსპექტულად გადაანგარიშებს შედარებად ინფორმაციას ფასს 16-ის „იჯარა“ მიხედვით (მე-3 შენიშვნა).

გავლენა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე:

2017	რეკლასიფი- კაციაზე	ფასს 16-ის მიღების გავლენა	გადაანგა- რიშებული
სხვა საოპერაციო ხარჯები	(518)	28	(490)
ცვეთა	(4,220)	(19)	(4,239)
საოპერაციო შემოსავალი	5,644	9	5,653
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	(9)	(13)	(22)
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	5,886	(4)	5,882
წლის წმინდა მოგება	4,615	(4)	4,611
წლის მთლიანი სრული შემოსავალი, წმინდა	19,179	(4)	19,175

გავლენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე:

1 იანვარი, 2018 წ.	რეკლასიფი- კაციაზე	ფასს 16-ის მიღების გავლენა	გადაანგა- რიშებული
აქტივების გამოყენების უფლება	-	96	96
სულ გრძელვადიანი აქტივები	53,897	96	53,993
სულ აქტივები	65,991	96	66,087
საიჯარო ვალდებულებების მოკლევადიანი ნაწილი	-	16	16
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	-	84	84
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	84	84
გაუნაწილებელი მოგება	34,345	(4)	34,341
სულ კაპიტალი	61,279	(4)	61,275

1 იანვარი, 2017 წ.	რეკლასიფი- კაციაზე	ფასს 16-ის მიღების გავლენა	გადაანგა- რიშებული
აქტივების გამოყენების უფლება	-	115	115
სულ გრძელვადიანი აქტივები	43,951	115	44,066
სულ აქტივები	54,096	115	54,211
საიჯარო ვალდებულებების მოკლევადიანი ნაწილი	-	15	15
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	-	100	100
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	100	100
გაუნაწილებელი მოგება	35,747	-	35,747
სულ კაპიტალი	49,300	-	49,300

ჩვენს ყოველწილს

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ხრამჭესი 1“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად. ახლად გამოშვებულ სტანდარტებს მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, მე-2 შენიშვნაში წარმოდგენილის გარდა.

(ა) უცხოური ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას კომპანია აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი სამუშაო ვალუტის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. ყველა საკურსო სხვაობა შეტანილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. არაფულადი მუხლების კონვერტაცია, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

(ბ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე- და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია ისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები მიეკუთვნება გრძელვადიან აქტივებსა და ვალდებულებებს.

საიკონო ყოიბი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ხრამჰესი 1“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(გ) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

(i) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას და ამ კლასიფიკაციას მოგვიანებით გადააფასებს.

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, როდესაც საჭიროა აქტივების ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანია იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ▶ ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით;
- ▶ სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- ▶ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- ▶ მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ზაზუნ ყიფიძე

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ხრამჭესი 1“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(გ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით

კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ▶ ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით, და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანია ამორტიზებული ღირებულებით აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს თავისი ყველა ფინანსური აქტივისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად კომპანია გამარტივებულ მეთოდს იყენებს. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდები გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება.

ყველა ის ფინანსური აქტივი, რომელსაც კომპანია ფლობს 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით და მოიცავს სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას, სასესხო მოთხოვნებს და ფულად სახსრებსა და მათი ეკვივალენტებს.

ხაჯიან ყიზილ

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ხრამჭესი 1“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(გ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ალიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) ალიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა, ან
- ▶ კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის ალიარებას მის მიერ ამ აქტივში მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც ალიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

(ii) ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი ალიარება და შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები, დებიტორული დავალიანება ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განკუთვნილია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების ალიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხებისა და გადასახდელი ანგარიშებისა და დებიტორული დავალიანების შემთხვევაში, აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მიეკუთვნება სესხებსა და გადასახდელ ანგარიშებს და მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას.

ქაიკაძე ყ.ბ.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ხრამჭესი 1“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ა) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

(ii) ფინანსური ვალდებულებები (გაგრძელება)

თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი დისკონტის ან შესყიდვის პრემიის, აგრეთვე საზღაურების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობების ან ისეთი მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობების საფუძველზე, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის განსხვავება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი უფლება თანხების ჩათვლისა და განზრახული აქვს შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვა ან ერთდროულად აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

ხელმოწერა

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ხრამჰესი 1“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(გ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

(iv) ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით აფასებს თითოეული საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღისთვის.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე სახარბიელო ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

ხეივან ყაიხიძე

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ხრამჭესი 1“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(გ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

(iv) ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების იერარქიის ერთი დონიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კომპანია განსაზღვრავს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, კომპანიამ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ანალიზი და დამატებითი დეტალები მათი შეფასების მეთოდების შესახებ მოცემულია მე-16 შენიშვნაში.

(დ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გადაფასების თარიღის შემდეგ აღიარებული გაუფასურების ზარალი. შეფასება ხდება საკმარისი სიზშირით, რომ გადაფასებული აქტივის სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი საბალანსო ღირებულებისგან.

დანახარჯები მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. კომპანიის მიერ აშენებული აქტივების თვითღირებულება მოიცავს მასალისა და შრომის პირდაპირ დანახარჯებს და ყველა სხვა ხარჯს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის შესაბამის მდგომარეობაში მოსაყვანად, დემონტაჟის და მოხსნის ხარჯებს, ასევე იმ ტერიტორიის რეაბილიტაციის ხარჯებს, რომლებზეც ეს აქტივები მდებარეობს და შესაბამის აქტივებთან დაკავშირებული სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს. შესყიდული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია შესაბამისი აღჭურვილობის ფუნქციონირებისთვის, კაპიტალიზდება, როგორც ამ აღჭურვილობის განუყოფელი ნაწილი.

თუ ძირითადი საშუალებების ერთეულებს სხვადასხვა სასარგებლო გამოყენების ვადა აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალებების ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად).

ქაიკა ყიფიანი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ხრამპესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(დ) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

(i) აღიარება და შეფასება (გაგრძელება)

გადაფასების ყოველგვარი ნამეტის აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში და ერიცხება კაპიტალს ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის ნაწილში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი შეაბრუნებს ამავე აქტივის გადაფასების შედეგად შემცირებულ ღირებულებას, რომელიც მანამდე ხარჯად იყო აღიარებული. ასეთ შემთხვევაში ღირებულების გაზრდის აღიარება ხდება გადაფასების შედეგად მიღებული შემოსულობის სახით. გადაფასების დეფიციტის აღიარება ხდება ხარჯის სახით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი გაქვითავს ამავე აქტივზე არსებულ ნამეტს, რაც აღიარებულია ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვში.

აქტივების გადაფასების რეზერვიდან წლიური გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე ხდება აქტივის გადაფასებული საბალანსო ღირებულების ცვეთასა და აქტივის თავდაპირველი ღირებულების ცვეთას შორის სხვაობით. გარდა ამისა, გადაფასების თარიღისთვის აკუმულირებული ცვეთა ჩამოიწერება აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან და წმინდა ღირებულების გადაანგარიშება ხდება აქტივის გადაფასებული ღირებულების მისაღებად. გაყიდვისას კონკრეტულ აქტივთან დაკავშირებული მთლიანი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე. ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე.

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ამ ნაწილის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება შეიძლება. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ტექნიკური მომსახურების ყოველდღიური ხარჯის აღიარება ხდება მისი დადგომისთანავე სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ხაიკარ ყიფიძე

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ხრამჭესი 1“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(დ) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

(iii) ცვეთა

ცვეთის აღიარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მიმდინარე და შედარებადი პერიოდებისთვის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადებია:

შენობა-ნაგებობები	35 წლამდე
მანქანა-მოწყობილობები	2-27 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	2-6 წელი
სხვა	2-5 წელი

ცვეთის დარიცხვის მეთოდები, სასარგებლო გამოყენების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაისინჯება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

(ე) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების ხარჯს, წარმოების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის ხარჯი.

ხაჯარ ყიფილი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ხრამჰესი 1“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ვ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმებაა საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, კომპანია აფასებს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოღინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი გამოიყენება. ეს გამოთვლები დასაბუთდება შეფასების კოეფიციენტებით, აქციათა კოტირებული ფასებით საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიების შემთხვევაში და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

კომპანია გაუფასურებას გამოითვლის დეტალური ბიუჯეტისა და პროგნოზირებული გაანგარიშების საფუძველზე, რომლებიც ინდივიდუალურად მზადდება კომპანიის ფულადი ნაკადების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის, რომლისთვისაც გამოყოფილია ესა თუ ის აქტივი. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

უწყვეტი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი, სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების ჩათვლით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯების კატეგორიებში გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამისად, გარდა მანამდე გადაფასებული ქონებისა, რომლის გადაფასების რეზერვიც აისახა სხვა სრულ შემოსავალში. ასეთი ქონების შემთხვევაში, გაუფასურების აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში ნებისმიერი წინა გადაფასების თანხამდე.

ხაიკარ ყიფიძე

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ხრამჭესი 1“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ვ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

ისეთი აქტივების შემთხვევაში, რომლებშიც გაუდვილი არ შედის, ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება, არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღმოფხვრილი ან შემცირებულია. თუ ამის ნიშნები მართლაც არსებობს, კომპანია აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის შებრუნება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის აღდგენითი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. შემობრუნების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის აღდგენით ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. შემობრუნების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აქტივი აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც შემობრუნება აღირიცხება, როგორც გადაფასებული ღირებულების ზრდა.

(ზ) შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

კომპანია ელექტროენერგიის წარმოების სფეროში საქმიანობს. წარმოებული ელექტროენერგია იყიდება ელექტროენერგიის გამანაწილებელ კომპანიაზე, რომელიც არის საბოლოო მშობელი კომპანიის საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანია, და პირდაპირ მესამე მხარეებზე. ელექტროენერგია იყიდება ინდივიდუალური ხელშეკრულებების საფუძველზე და ელექტროენერგიის რეალიზაცია ერთადერთი სახელშეკრულებო ვალდებულებაა. სახელშეკრულებო ვალდებულების დაკმაყოფილება და შემოსავლის აღიარება მაშინ ხდება, როდესაც აქტივზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს, როგორც წესი, აქტივის მიწოდების მომენტში.

შემოსავლების ასახვა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოძინების ალბათობა მაღალია. ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების სარწმუნოდ შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით.

ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი გამოითვლება ყოველთვიურად მომხმარებლებისთვის მიყიდული ელექტროენერგიის ოდენობის საფუძველზე, რომელიც განისაზღვრება საქართველოს მაღალი ძაბვის ელექტროქსელის ოპერატორის - საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ გაცემული ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტითა და მომხმარებლებთან შეთანხმებით.

ელექტროენერგიის ტარიფებს საქართველოში არეგულირებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია („სემეკი“). 2014 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 ნოემბრამდე 1 მვ/სთ-ის ტარიფი 0.082 ლარი იყო. სემეკის 2017 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებით, 2017 წლის 1 ნოემბრიდან 1 მვ/სთ-ის ტარიფი გაიზარდა 0.09781 ლარამდე.

ჩაიკაძე ყიზილ

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ხრამჭესი 1“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(თ) გადასახადები

(i) მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იზეგრება საქართველოში (მე-7 შენიშვნა). მოგების გადასახადით დაიზეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა საოპერაციო ხარჯებში.

(ii) დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- იმ შემთხვევებისა, როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.
- დებიტორული და კრედიტორული დავალიანებისა, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის დღე აქტივის (ანაზღაურებადი დღე) ან ვალდებულების ნაწილში.

ლევან ყიფიძე

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ხრამჭესი 1“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ი) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მოკლევადიანი დეპოზიტები მოიცავს ფულად სახსრებს ბანკში და სალაროში და მოკლევადიან დეპოზიტებს, რომელთა ვადაც სამი თვე ან უფრო ნაკლებია.

(კ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი. თუ კომპანია მოელის ანარიცხების მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო კონტრაქტის საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება გადაწყვეტილია. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნებისმიერი ანაზღაურების გამოკლებით.

(ლ) იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანია იჯარის დაწყების თარიღით აღიარებს გამოყენების უფლებით გადაცემულ აქტივს და საიჯარო ვალდებულებას. გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივი თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება, რაც მოიცავს იჯარის ამოქმედების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადახდებით დაკორექტირებული საიჯარო ვალდებულების საწყის ოდენობას. ამას ემატება თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები და საბაზისო აქტივის დემონტაჟსა და ობიექტიდან გატანასთან, ან საბაზისო აქტივის ან ადგილმდებარეობის ობიექტის აღდგენასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯები და აკლდება ნებისმიერი მიღებული საიჯარო შეღავათი.

გამოყენების უფლებით გადაცემულ აქტივს შემდგომში ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის დაწყების თარიღიდან სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე ან საიჯარო ვადის ბოლო თარიღამდე, რომელიც უფრო ადრე დადგება. გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივების სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადა განისაზღვრება ძირითადი საშუალებების ანალოგიურად. გარდა ამისა, გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივი პერიოდულად მცირდება გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების გარკვეული გადაფასებების შედეგად.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომლებიც იჯარის დაწყების თარიღისთვის ჯერ არ გადახდილა, მათი დისკონტირება ხდება საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ან თუ განაკვეთის განსაზღვრა შეუძლებელია, კომპანიის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთით.

ხაჯაბ ყოსბოვი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ხრამჭესი 1“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

- (მ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შეცვლილი სტანდარტები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებით 2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა

ფასს (IFRS) 16 „იჯარა“ გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფასიკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამოწვევას: მოიჯარეებისთვის - „დაბალი ღირებულებები მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). კომპანიამ გამოიყენა ორივე გამოწვევის. საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას საბაზისო აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება).

კომპანია ცალკე აღიარებს საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯს და გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივის ცვეთის ხარჯს. ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ვადაზე ადრე მიღება ნებადართულია, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც საწარმო გამოიყენებს ფასს 15-ს „შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“. მოიჯარემ შეიძლება გადაწყვიტოს სტანდარტის გამოყენება სრული რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს. კომპანიამ ისარგებლა ვადაზე ადრე გამოყენების უფლებით და 2018 წლის 1 იანვრიდან ფასს 16 გამოიყენა სრული რეტროსპექტული მიდგომის საფუძველზე. გადაანგარიშების გამარტივების მიზნით, პრაქტიკაში კომპანია ხელახლა არ აფასებს თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის არის თუ არა ხელშეკრულება ან მისი კომპონენტი იჯარა და პირველად გამოყენებისას ყველა ხელშეკრულება, რომელიც ბასს 17-ის შესაბამისად კლასიფიცირებული იყო ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, შეიძლება გადაანგარიშდეს ფასს 16-ის პირველად გამოყენების თარიღისთვის (ანუ 2017 წლის 1 იანვრისთვის) ისეთი ფორმით, რომ ხსენებული თარიღისთვის ყველა ხელშეკრულება გაფორმებულად იყოს მიჩნეული.

ხავეზი ყიფილი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ხრამჭესი 1“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

- (მ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შეცვლილი სტანდარტები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებით 2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა (გაგრძელება)

ფასს 15 „შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ გამოიცა 2014 წლის მაისში და განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. შემოსავლების ახალი სტანდარტი ჩაანაცვლებს ფასს-ის მიხედვით შემოსავლების აღიარების ყველა არსებულ წესს. სრული რეტროსპექტული გამოყენება ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიამ ფასს 15 გამოიყენა 2018 წლის 1 იანვრიდან სრული რეტროსპექტული მიდგომის საფუძველზე. ფასს 15-ის გამოყენებას ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენა არ მოუხდენია.

2014 წლის ივლისში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ბასსს) გამოსცა ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ ბოლო ვერსია, რომელმაც ჩაანაცვლა ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ და ფასს 9-ის ყველა წინა ვერსია. ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ბუღალტრული აღრიცხვის სამივე ასპექტს აერთიანებს: კლასიფიკაცია და შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა. ფასს 9 ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. გარდა ჰეჯირების აღრიცხვისა, სავალდებულოა რეტროსპექტული გამოყენება, მაგრამ შედარებადი ინფორმაციის წარმოდგენა სავალდებულო არ არის. ჰეჯირების აღრიცხვის შემთხვევაში, მოთხოვნები, როგორც წესი, პერსპექტიულად გამოიყენება, გარკვეული იშვიათი გამონაკლისებით. კომპანიამ ფასს 9 გამოიყენა 2018 წლის 1 იანვრიდან სრული რეტროსპექტული მიდგომის საფუძველზე. ფასს 9-ის გამოყენებას ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენა არ მოუხდენია.

ფასიკ ინტერპრეტაცია 22 „უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები“ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ინტერპრეტაციის თანახმად, წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სპოტ სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც საწარმო თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის არაერთი წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, საწარმომ თანხის თითოეული წინასწარი გადახდისთვის ან მიღებისთვის ცალკე უნდა განსაზღვროს ოპერაციის თარიღი. ვინაიდან კომპანიის ამჟამინდელი პრაქტიკა ინტერპრეტაციასთან შესაბამისობაშია, ამ ინტერპრეტაციის გამოყენებას გავლენა არ მოუხდენია მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ხაჯიან ყიფიძე

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ხრამჭესი 1“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვების გაკეთებას, რაც გავლენას ახდენს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარმოდგენილი შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე. თუმცა ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

(ა) მოსაზრებები

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რომლებიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე:

(i) ძირითადი საშუალებების სამართლიანი შეფასების სიხშირე

კომპანიამ თავისი ძირითადი საშუალებების აღრიცხვისთვის გადაფასებული ბაზა აირჩია. ბასს (IAS) 16-ის „ძირითადი საშუალებები“ მიხედვით, კომპანია ვალდებულია ისეთი სიხშირით გადააფასოს ძირითადი საშუალებები, რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისგან, რომელიც განისაზღვრებოდა სამართლიანი ღირებულების გამოყენებით ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

ძირითადი საშუალებების ბოლო გადაფასება მოხდა 2017 წლის 30 ოქტომბერს და აისახა ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის განსჯის თანახმად, ძირითადი საშუალებების გადაფასების აუცილებლობა 2018 წლის 31 დეკემბრისთვის არ იდგა, რადგან ბოლო გადაფასების თარიღიდან ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს ან გარემოებებს, რომლებიც მიანიშნებდა, რომ საბალანსო ღირებულება არსებითად განსხვავდებოდა იმ ღირებულებისგან, რომელიც განისაზღვრებოდა სამართლიანი ღირებულების გამოყენებით ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

(ბ) შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რაც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

ხაიზი ყიფიძე

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ხრამჭესი 1“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

5. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა და რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, შემოიფარგლება ცვლილებით ფასს 9-ში: „საავანსო გადახდის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით“. კომპანია ამ ცვლილებების მიღებას მათი ძალაში შესვლისთანავე აპირებს. ხელმძღვანელობა არ მოელოს, რომ ამ ცვლილებების გამოყენებას გავლენა ექნება თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის მთლიანი ოდენობა მიეკუთვნება ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს. შემოსავალი საქართველოში მიიღება. 2018 წლის განმავლობაში კომპანიამ შემოსავალი მიიღო შემდეგ მომხმარებლებზე გაყიდვებიდან:

	2018	2017
შემოსავალი მესამე მხარეებზე გაყიდვებიდან	13,074	-
შემოსავალი საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირზე გაყიდვებიდან (მე-19 შენიშვნა)	3,448	15,282
შემოსავალი ელექტროსისტემის კომერციულ ოპერატორზე (სემევი) გაყიდვებიდან	189	1,230
სულ შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	16,711	16,512

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სახელშეკრულებო ვალდებულებები კომპანიას არ ჰქონდა.

7. ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები

	2018	2017 (გადაანგარიშებული)
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი	-	(9)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე წმინდა საკურსო ზარალი	(11)	(13)
	(133)	-
სულ ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები	(144)	(22)
საბანკო ანაბრებსა და მიმდინარე ანგარიშებზე საპროცენტო შემოსავალი (მე-12 შენიშვნა)	254	58
საპროცენტო შემოსავალი საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირზე გაცემული სესხიდან (მე-19 შენიშვნა)	352	-
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა	-	193
სულ ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	606	251

ხავეზი ყიფიძე

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ხრამჭესი 1“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

7. ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები (გაგრძელება)

საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი ძირითადად გამოწვეულია კომპანიის აშშ დოლარში გამოხატული აქტივებისა და ვალდებულებების გადაანგარიშებით. სავალუტო რისკი უფრო დაწვრილებით აღწერილია მე-16 შენიშვნაში.

8. მოგების გადასახადები

საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებების ამოქმედების შემდეგ (მე-3 შენიშვნა), 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიამ მთლიანად შეაბრუნა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ შესაბამისად, რათა გადავადებული გადასახადები შეაფასოს 0%-იანი საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოქმედებს გაუნაწილებელ მოგებაზე 2017 წლის 1 იანვრიდან.

2018 წელს კომპანიამ მოგების გადასახადის ხარჯი არ აღიარა განაწილებულ მოგებაზე, რადგან 2018 წელს დივიდენდები არ გამოუცხადებია (2017 წ.: 1,271 ლარის მოგების გადასახადის ხარჯი).

ხაიკა ყიფიანი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ხრამჭესი 1“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

9. ძირითადი საშუალებები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები შედგებოდა შემდეგისგან:

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- მოწყობი- ლობები	სატრან- სპორტო საშუალებები	დაუშთავ- რებელი მშენებლობა	სხვა	სულ
თვითღირებულება							
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	314	28,901	22,703	245	92	38	52,293
შემოსვლები	-	-	525	-	2,179	11	2,715
გასვლები	-	-	-	-	-	-	-
გადატანები	-	531	-	-	(531)	-	-
შედეგად მიღებული ზრდა, ალიარებული სხვა სრულ შემოსავალში	70	10,527	5,867	50	-	3	16,517
შედეგად მიღებული კლება, ალიარებული სხვა სრულ შემოსავალში	-	-	(1,953)	-	-	-	(1,953)
გადაფასების შედეგად მიღებული ზრდა, ალიარებული მოგება- ზარალის ანგარიშგებაში	242	9	299	-	-	7	557
გადაფასების შედეგად მიღებული კლება, ალიარებული მოგება- ზარალის ანგარიშგებაში	-	(133)	(2,811)	(18)	(311)	(26)	(3,299)
დაგროვილი ცვეთის ჩამოწერა გადაფასებისას	-	(6,161)	(5,340)	(187)	-	(15)	(11,703)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	626	33,674	19,290	90	1,429	18	55,127
შემოსვლები	-	-	418	416	2,117	32	2,983
გადატანები	-	-	1,904	-	(1,904)	-	-
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	626	33,674	21,612	506	1,642	50	58,110
დაგროვილი ცვეთა 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	(4,574)	(4,014)	(153)	-	(12)	(8,753)
დაგროვილი ცვეთის ჩამოწერა გადაფასებისას	-	6,161	5,340	187	-	15	11,703
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(2,308)	(1,863)	(42)	-	(7)	(4,220)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(721)	(537)	(8)	-	(4)	(1,270)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(2,882)	(2,119)	(38)	-	(12)	(5,051)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(3,603)	(2,656)	(46)	-	(16)	(6,321)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	314	24,327	18,689	92	92	26	43,540
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	626	32,953	18,753	82	1,429	14	53,857
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	626	30,071	18,956	460	1,642	34	51,789

ლევან ყაიხვანიძე

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ხრამჭესი 1“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

9. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

კომპანია თავის საოფისე ფართებს იჯარით გასცემს. ინფორმაცია საიჯარო ურთიერთობების შესახებ, რომლებშიც კომპანია მოიჯარედ გამოდის, იხილეთ ქვემოთ:

	საოფისე შენობა- ნაგებობა
გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები	
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	115
ცვეთის დანარიცხი წლის განმავლობაში (გადაანგარიშებული)	(19)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	96
ცვეთის დანარიცხი წლის განმავლობაში	(19)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	77

10. სავაჭრო დებიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
დაკავშირებული მხარეებისგან მისაღები სავაჭრო დებიტორული დავალიანება (მე-19 შენიშვნა)	1,935	9,479
მომხმარებლების სავაჭრო დებიტორული დავალიანება	2,760	-
	4,695	9,479

სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება და მათი ვადა, როგორც წესი, 30 დღეა. სავაჭრო დებიტორული დავალიანების ნაწილი ვადაგადაცილებულია, მაგრამ არა გაუფასურებული (მე-16 შენიშვნა). მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის მომავალზე ორიენტირებული მიდგომა კომპანიამ გამოიყენა სავაჭრო დებიტორული დავალიანების სავარაუდო რეზერვის გამოსათვლელად. კომპანიის განსჯის საფუძველზე, ამ მეთოდის შესაბამისად სავაჭრო დებიტორული დავალიანების რეზერვი არ აღიარებულა.

11. სასესხო მოთხოვნები

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
მიმდინარე	970	-
გრძელვადიანი	4,406	-
	5,376	-

ლევან ყიფიძე

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ხრამჭესი 1“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

11. სასესხო მოთხოვნები (გაგრძელება)

2018 წლის 1 ივნისს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსგან მისაღები სავაჭრო დებიტორული დავალიანება გარდაიქმნა ლარში გამოხატულ პროცენტთან სესხად, რომლის დაფარვის ვადა 2021 წლამდეა. სესხს აქვს ძირითადი თანხის დაფარვის საშუალებით პერიოდი 2019 წლის 31 დეკემბრამდე და პროცენტის გადახდის საშუალებით პერიოდი 2019 წლის 31 იანვრამდე. 2018 წლის აგვისტოში საერთო კონტროლს დაქვემდებარებულმა საწარმომ სესხი დაფარვის გრაფიკზე ადრე (წინსწრებით) დაფარა 8,000 ლარით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის მომავალზე ორიენტირებული მიდგომა კომპანიამ გამოიყენა ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სასესხო მოთხოვნების სავარაუდო რეზერვის გამოსათვლელად. კომპანიის განსჯის საფუძველზე, ამ მეთოდის შესაბამისად საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს მიმართ სასესხო მოთხოვნებისთვის რეზერვი არ აღიარებულა.

12. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	11,127	1,658

ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე დარიცხულმა პროცენტმა 2018 წელს 254 ლარი შეადგინა (2017 წ.: 58 ლარი).

13. კაპიტალი

(ა) გამოშვებული კაპიტალი

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰქონდა 3,447,238 ნებადართული და გამოშვებული აქცია და თითოეულის ღირებულება 0.001 ლარს შეადგენდა. 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციების 100%-ის მფლობელი იყო „გარდაბანი ჰოლდინგი ზივი“.

(ბ) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიას შეუძლია მოგებიდან დივიდენდების გამოცხადება. კომპანიის გაუნაწილებელი მოგება ძირითადად მიღებულია 2011 წლის 1 იანვარს ფასს-ზე გადასვლის დროს ძირითადი საშუალებების გადაფასებით. საქართველოს კანონში არაფერია ნათქვამი კომპანიის უფლებაზე, გაანაწილოს ასეთი რეზერვები დივიდენდების სახით.

კომპანიას 2018 წელს დივიდენდები არ გამოუცხადებია (2017 წ.: 7,200 ლარი).

ქავკან ყიხუი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ხრამჭესი 1“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

14. საგადასახადო აქტივები, წმინდა

საგადასახადო აქტივები წარმოადგენს ანაზღაურებადი დღგ-ის უმეტეს ნაწილს, რომელიც საგადასახადო დავალიანებით შემდეგნაირად გაიქვითება:

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
ჩასათვლელი დღგ	1,933	1,364
ქონების გადასახადი	(702)	(286)
მიწის გადასახადი	(175)	(87)
ხელფასებთან დაკავშირებული საგადასახადო დავალიანება	(64)	(70)
სხვა საგადასახადო დავალიანება	(344)	(341)
საგადასახადო აქტივები, წმინდა	648	580

15. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
დაკავშირებული მხარისთვის გადასახდელი მართვის მომსახურების გასამრჯელო (მე-19 შენიშვნა)	3,488	3,378
დაკავშირებული მხარისთვის გადასახდელი ტექნიკური მომსახურების გასამრჯელო (მე-19 შენიშვნა)	998	966
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება მომწოდებლების მიმართ	123	116
სხვა დავალიანება	237	252
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	4,846	4,712

ზემოთ მოცემული ფინანსური ვალდებულებების პირობები:

- ▶ სავაჭრო კრედიტორული დავალიანება უპროცენტოა და, ჩვეულებრივ, 30 დღეში იფარება;
- ▶ დაკავშირებული მხარეების მიმართ კრედიტორული დავალიანება გამოწვეულია 2011 წლამდე შესრულებული გარიგებებით, რომლებიც არის ვადაგადაცილებული, მაგრამ გადაუხდელი, რადგან დაკავშირებულმა მხარეს არ მოუთხოვია მისი დაფარვა;
- ▶ მომწოდებლების მიმართ სავაჭრო კრედიტორული დავალიანება და სხვა გადასახდელი ანგარიშები ძირითადად აშშ დოლარშია გამოხატული.

ჩაიკა ყიფიძე

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ხრამკესი 1“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა

მიმოხილვა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია კომპანიის კაპიტალური და საოპერაციო ხარჯების დაფინანსება. კომპანიას აქვს პირდაპირ თავისი ოპერაციებიდან მიღებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება და ფულადი სახსრები მიმდინარე ანგარიშებზე.

კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები.

კომპანია არის საბოლოო მშობელი კომპანიის მიერ კონტროლირებული დიდი ჯგუფის ნაწილი. ფინანსური რისკების უმეტესი ნაწილი იმართება და კონტროლდება საბოლოო მშობელი კომპანიის დონეზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კომპანიას საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ აქვს. ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და მომსახურების ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

(ა) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მომწოდებელი ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიადგება. კომპანიას საკრედიტო რისკი ემუქრება საოპერაციო საქმიანობის (ძირითადად სავაჭრო დებიტორული დავალიანება) და ფინანსური საქმიანობის ნაწილში, ასევე ბანკებში განთავსებული ანაბრებიდან გამომდინარე.

კომპანიას აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია ერთ კლიენტზე - საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმო - სს „თელასზე“. სს „თელასის“ მიმართ მთლიანი მოთხოვნები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 7,311 ლარს, და შედგებოდა სავაჭრო (მე-10 შენიშვნა) და სასესხო მოთხოვნებისგან (მე-11 შენიშვნა) (2017 წ.: 9,479 ლარის ოდენობის სავაჭრო დებიტორული დავალიანება). ზემოხსენებული ნაშთიდან 1,935 ლარი ვადაგადაცილებულია 180-ზე მეტი დღით (წარმოიშვა 2018 წლის აპრილში); (2017 წ.: 5,863 ლარი ვადაგადაცილებულია ერთ წელზე მეტი ხნით, ხოლო 1,161 ლარი ვადაგადაცილებულია 180-ზე მეტი დღით).

ჯგუფის შიდა ვადაგადაცილებული ნაშთების და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების დაფარვას მართავს საბოლოო მშობელი კომპანია ჯგუფში ფულადი სახსრების საჭიროების, და არა ცალკეული ინსტრუმენტების ვადიანობის მიხედვით. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ სს „თელასი“ კრედიტუნარიანი კომპანიაა და ნებისმიერ ვალდებულებას დაფარავს, თუ გაჩნდება დამატებითი ფულადი სახსრების საჭიროება. ამიტომ სს „თელასის“ მიმართ მოთხოვნებისთვის ანარიცხები არ შექმნილა.

ქავთაძე ყიფიძე

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ხრამჭესი 1“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(ა) საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მთლიანად სამ უმსხვილეს ქართულ ბანკშია განთავსებული. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არც გაუფასურებულია და არც ვადაგადაცილებული.

ანგარიშგების თარიღისთვის საკრედიტო რისკის მთლიანი მოცულობა იყო:

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
სავაჭრო დებიტორული დავალიანება (მე-10 შენიშვნა)	4,695	9,479
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (მე-12 შენიშვნა)	11,127	1,658
სასესხო მოთხოვნები (მე-11 შენიშვნა)	5,376	–
	21,198	11,137

(ბ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიას გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა რომელიმე ფინანსური აქტივით. ლიკვიდურობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაა, შემდგომი დაგეგმვა იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და კომპანიის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას საკმარისი საკრედიტო თანხების საშუალებით. კომპანიას მიმდინარე ვალდებულებები ძირითადად დაკავშირებული მხარეების მიმართ აქვს და მიმდინარე აქტივებიც დაკავშირებული მხარეებისგან აქვს მისაღები, ამიტომ ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს ანიჭებს კომპანიას საკმარის მოქნილობას ვალდებულებების დაფარვის / აქტივების მიღების ვადებთან მიმართებით, რაც აუცილებელია მომავალში ბიზნესის ადეკვატური ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად. საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსგან მისაღები, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიმდინარედ კლასიფიცირებული, მთლიანი ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების გამოქვითვის შემდეგაც კი კომპანიის მიმდინარე აქტივები აღემატება მიმდინარე ვალდებულებებს საანგარიშგებო თარიღისთვის.

ლევან ყიფიანი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ხრამჭესი 1“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(ბ) ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადები.

31 დეკემბერი, 2018 წ.	საბალანსო ლირებულება	სახელშეკ- რულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	0-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე
ფინანსური ვალდებულებები						
საიჯარო ვალდებულება	85	133	-	7	20	106
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება (მე-15 შენიშვნა)	4,846	4,846	4,486	360	-	-
	4,931	4,979	4,486	367	20	106

31 დეკემბერი, 2017 წ.	საბალანსო ლირებულება	სახელშეკ- რულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	0-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება (მე-15 შენიშვნა)	4,712	4,712	4,344	368	-	-
საიჯარო ვალდებულება (გადაანგარიშებული)	100	160	-	7	20	133
	4,812	4,872	4,344	375	20	133

(გ) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო ფასები ორი ტიპის რისკს შეიცავს: საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სავალუტო რისკს. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებზეც საბაზრო რისკები მოქმედებს, მოიცავს სესხებსა და გადასახდელ ანგარიშებს და მიმდინარე ანგარიშებს ბანკში.

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზები მოცემულია 2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მგრძნობელობის ანალიზები მომზადდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ დავალიანების წმინდა თანხა, კურსებს შორის სხვაობის მიმართ მგრძნობელობა და ფინანსური ინსტრუმენტების პროპორციული წილი უცხოურ ვალუტაში მუდმივია.

კომპანიას აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი იმის გამო, რომ ყველა მის ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი აქვს.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. კომპანიისთვის დამახასიათებელი სავალუტო რისკი ძირითადად უკავშირდება უცხოურ ვალუტაში გამოხატულ ფინანსურ ვალდებულებებს.

ხაფიზ ყიჩაძე

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ხრამჭესი 1“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(გ) საბაზრო რისკი (გაგრძელება)

კომპანია არ ახდენს სავალუტო რისკის წინააღმდეგ ჰეჯირებას. ქვემოთ პირობითი თანხებით მოცემულია კომპანიის სავალუტო რისკები:

	აშშ დოლარში გამოხატული	
	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	(4,486)	(4,344)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	292	115
რისკის ნეტო ოდენობა	(4,194)	(4,229)

აშშ დოლართან მიმართებით ლარის გამყარება/გაუფასურება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოგების ან ზარალის ქვემოთ წარმოდგენილ თანხებს შემდეგნაირად გაზრდიდა/(შემამცირებდა). ანალიზი ეყრდნობა სავალუტო კურსების მერყეობას, რომელიც კომპანიის აზრით მოსალოდნელი იყო ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის. ანალიზი ეფუძნება დაშვებას, რომ ყველა დანარჩენი ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები მუდმივი რჩება.

	გამყარება	გაუფასურება
31 დეკემბერი, 2018 წ. აშშ დოლარი (20%-იანი ცვლილება)	839	(839)
31 დეკემბერი, 2017 წ. აშშ დოლარი (20%-იანი ცვლილება)	846	(846)

ლევან ყიფიძე

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ხრამჭესი 1“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(დ) სამართლიანი ღირებულებები

კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების ანალიზი შესაძლებელია შემდეგნაირად:

		31 დეკემბერი, 2018 წ.		31 დეკემბერი, 2017 წ.	
	დონე	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო დებიტორული დავალიანება					
(მე-10 შენიშვნა)	დონე 3	4,695	4,695	9,479	9,479
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები					
(მე-12 შენიშვნა)	დონე 1	11,127	11,127	1,658	1,658
სასესხო მოთხოვნები					
(მე-11 შენიშვნა)	დონე 3	5,376	5,376	-	-
ფინანსური ვალდებულებები					
საიჯარო ვალდებულება					
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	დონე 3	85	85	100	100
(მე-15 შენიშვნა)	დონე 3	4,846	4,846	4,712	4,712

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

- ▶ ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების და სავაჭრო დებიტორული დავალიანების სამართლიანი ღირებულება დაახლოებით ტოლია მათი საბალანსო ღირებულებისა, ამ ინსტრუმენტების დაფარვის მოკლე ვადის გამო;
- ▶ სასესხო მოთხოვნების და საიჯარო ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სამომავლო ფულადი ნაკადების ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო განაკვეთებით დისკონტირებით.

(ე) კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის საკმარისი ბაზის შენარჩუნებას, რომ დააკმაყოფილოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნები.

ლევან ყიფიძე

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ხრამჭესი 1“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

17. კაპიტალური დაბანდების ვალდებულება

ძირითადი საშუალებების შესყიდვის ხელშეკრულება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას გაფორმებული არ აქვს მიმდინარე ხელშეკრულებები ძირითადი საშუალებების შესყიდვის თაობაზე (2017 წ.: ხელშეკრულებები არ ჰქონდა გაფორმებული).

18. პირობითი ვალდებულებები

(ა) საგადასახადო გარემო

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გაგებული. თუ იმ წლის ბოლოდან, რომელშიც საგადასახადო კანონმდებლობა დაირღვა, ექვსი წელია გასული, საგადასახადო ორგანოებს არ აქვთ უფლება დააკისრონ დამატებითი გადასახადები, ჯარიმა ან საურავი.

ამ გარემოებებმა შეიძლება დამატებითი საგადასახადო რისკები შექმნან საქართველოში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის ინტერპრეტაციისგან და თუ ისინი შეძლებენ თავიანთი ინტერპრეტაციის განხორციელებას, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის ხელმძღვანელობა აფასებს თავის საგადასახადო პოზიციას და განიხილავს იმ გარიგებებს, რომლებიც შეიძლება ექვეყნებინა საგადასახადო ორგანოებმა. როდესაც ამის ალბათობა მაღალია, კომპანია ქმნის შესაბამის ანარიცხებს.

19. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

(i) გარიგებები ხელმძღვანელობასთან

კომპანიის ხელმძღვანელი გუნდის წევრებმა 2018 წლის განმავლობაში 48 ლარის ოდენობის ანაზღაურება მიიღეს (2017 წ.: 96 ლარი), რაც ასახულია ხელფასებში, ბონუსებსა და დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებში.

ლევან ყაიხვაძე

	გაყიდვები დაკავში- რებულ მხარეებზე 2018	გაყიდვები დაკავში- რებულ მხარეებზე 2017	მისაღები თანხები 2018 წლის 31 დეკემ- ბრისთვის	მისაღები თანხები 2017 წლის 31 დეკემ- ბრისთვის
ელექტროენერგიის გაყიდვა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები (მე-6 და მე-10 შენიშვნები)	3,448	15,282	1,935	9,479

გაყიდვები ხდება სემეკის მიერ დამტკიცებული ტარიფებით.

(iii) სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	დაკავში- რებული მხარე- ებისთვის გადასახდელი თანხები 2018 წლის 31 დეკემ- ბრისთვის	დაკავში- რებული მხარე- ებისთვის გადასახდელი თანხები 2017 წლის 31 დეკემ- ბრისთვის
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები მართვის მომსახურების გასამრჯელო (მე-15 შენიშვნა)	3,488	3,378
ტექნიკური მომსახურების გასამრჯელო (მე-15 შენიშვნა)	998	966
	<u>4,486</u>	<u>4,344</u>

(iv) მიღებული სესხები

2017 წლის განმავლობაში კომპანიამ აიღო და მთლიანად დაფარა მოკლევადიანი სესხი 2,417 ლარის ოდენობით საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსგან - „სილქ როუდ ჰოლდინგს ბივი“. დარიცხული და გადახდილი საპროცენტო ხარჯი 9 ლარს შეადგენდა.

(v) გაცემული სესხები

2018 წლის განმავლობაში კომპანიამ საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსგან მისაღები დებიტორული დავალიანება გარდაქმნა გრძელვადიან სესხად (მე-11 შენიშვნა). 2018 წლის 31 დეკემბრისთვის სასესხო მოთხოვნების მთლიანი ნაშთი 5,376 ლარია. 2018 წელს საპროცენტო შემოსავალმა 352 ლარი შეადგინა.

ჩეკერე ყიფიშვილი

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N190289705



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

18.03.2019 6

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

თეა კიკუაშვილი

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქალაქი თბილისი, ლესელიძის ქ. #17

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

593235532, 2 93 30 83

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

49881142525119



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას ცხრამეტი წლის თვრამეტ მარტს მე, ნოტარიუს თეა კიკუაშვილის შემცვლელი პირი, ია კიკუაშვილი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. 17-ში, ვადასტურებ თარგმანი ქეთევან ყანჭაშვილის (დაბ. 14.09.1982, პირადი # 01003009915, გაც. სრს გლდანის სამსახურის მიერ 20.03.2009; მცხოვრები: ქ. თბილისი, მუხიანი, მე-4 ა მ/რ, კორპ.1, ბ.43, ბაკალავრის დიპლომი AB 0001886 გაც. 2003 წელს თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ) ხელმოწერის ნამდვილობას. მე, ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარგმანი, რომ პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე, რომელმაც დაადასტურა, რომ ჯეროვნად იცის ინგლისური ენა და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს.

On the 18.03.2019, I, Iia Kikuashvili, acting as a replacement for Tea Kikuashvili, the notary whose Notary Bureau is located at Tbilisi, 17, Leselidze Street, certify the authenticity of the signature of translator Ketevan Kanchashvili (born on 14.09.1982, personal number 01003009915 issued on 20.03.2009 by CRA Gldani Service; residing at: Mukhiani 4a micro district, Building 1, Apt. 43; Bachelor's diploma AB 0001886 issued in 2003 by Tbilisi Iliia Chavchavadze State University of Language and Culture). I warned the translator that she is responsible for the accuracy of the translation. She confirmed that she properly knows the English language and ensures accuracy of the translation.

გადახდილია 246-00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 31-ე მუხლისა, ასევე დღგ 44.28 ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა. ასევე სარეგისტრაციო მოსაკრებელი 2-00 ლარი, (დღგ-ს ჩათვლით) თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 39-ე მუხლისა. სამი ეგზემპლარისთვის

Fee paid 246-00 GEL, according to the Article 31st, resolution #507 dated 29.12.2011 adopted by Georgian Government about the fees, the rules of payment and approving the service terms determined for the Notary Chamber of Georgia and for the fulfillment of notary activities, also VAT 44.28 GEL, according to Article 169th of Georgian Tax Code (including VAT), also 2-00 GEL, according to the Article 39th resolution (dated 29.12.2011).

ნოტარიუს თეა კიკუაშვილის შემცვლელი პირი ია კიკუაშვილი

